საქართველოს რესპუბლიკა

გამოცემის მე-100 წელი



იმისთანა ჩმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვეული სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბეჭთის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

პარასკევი, 29 ივნისი. 2018 წ. №133 (8534), | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

6-წლიანი სასჯელი დაგიმატეს, მიხეილ?!

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი თბილისის საქალაქო სასამართლომ ვალერი გელაშვილის ცემის საქმეზე დამნაშავედ ცნო.

აღნიშნული გადაწყვეტილება მოსამართლე შორენა გუნცაძემ გუშინ გამოაცხადა. მან აღნიშნულ გადაწყვეტილებაში პოლიტიკური მოტივი გამორიცხა.

გელაშვილის ცემის საქმეზე სააკაშვილს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა, მას ასევე 2 წლითა და 3 თვით სახელმწიფო სამსახურში ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დანიშვნითი თანამდებობის დაკავების უფლება ჩამოერთვა.

საქმე ეხება დეპუტატ ვალერი გელაშვილის ცემას, რომელიც 2005 წელს მოხდა.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს პარლამენტის წევრ ვალერი გელაშვილზე 2005 წელს მომხდარი შეიარაღებული თავდასხმის და მისი ცემის საქმეზე, საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს, ძალადობით სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება და ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ორგანიზება ედება ბრალად. მასთან ერთად ამავე საქმეზე პასუხისგებაში შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი ივანე მერაბიშვილი, სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის ყოფილი უფროსი ერეკლე კოდუა და ამავე დეპარტამენტის სამართველოს ყოფილი უფროსი გია სირაძე მიეცნენ. აღნიშნულ საქმეზე მერაბიშვილის, კოდუასა და სირაძის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენებია დამდგარი. კერძოდ, ივანე მერაბიშვილს საქალაქო სასამართლომ 6 წლითა და 9 თვით, ერეკლე კოდუასა და გია სირაძეს კი 9 წლით თავისუფლების აღკვეთა აქვთ შეფარდებული.

გაერთიანებული სამინისტროების სახელები უკვე განისაზღვრა

მთავრობამ გაერთიანებული სამინისტროების სახელები განსაზღვრა, საიდანაც ცნობილი ხდება, რომ სიტყვები „სასჯელაღსრულება“, „მეცნიერება“ და „ძეგლთ დაცვა“ საერთოდ აღარ იქნება გამოყენებული.

ამის შესახებ ჟურნალისტებს მთავრობის საპარლამენტო მდივანმა ნათია მიქელაძემ განუცხადა. მისი თქმით, საქართველოს პარლამენტს მთავრობის სტუქტურული ცვლილებების შესახებ საკანონმდებლო პაკეტი დღესვე წარედგინება, რომელიც საკმაოდ მოცულობითია და მასში 150-მდე კანონი არის გაერთიანებული.

ნათია მიქელაძის განმარტებით, „დამატებით ცვლილებებს, გარდა იმისა, რაც იქნა გაცხადებული, არ უნდა ველოდოთ“. მან ასევე ისაუბრა გაერთიანებული სამინისტროების სახელწოდებებზე.

„სასჯელაღსრულების სამინისტრო გაერთიანდება იუსტიციის სამინისტროსთან და სახელწოდება იუსტიციის სამინისტრო დარჩება უცვლელი. დევნილთა სამინისტრო ერთიანდება შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამინისტროში და სახელწოდება იქნება — ოკუპირებულ ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო, განათლების სამინისტროს უერთდება სპორტისა და კულტურის სამინისტრო და შესაბამისად, სახელწოდება იქნება — განათლების, სპორტისა და კულტურის სამინისტრო.

სახელწოდებებთან დაკავშირებით განხილვები იქნება პარლამენტში და არ არის გამორიცხული, ახალი სახელწოდება ჩამოყალიბდეს,“ — განაცხადა ნათია მიქელაძემ. მისი თქმით, ცვლილების თვითმიზანს არ წარმოადგენს თანამშრომელთა გათავისუფლება და ყველა პროფესიონალი შეინარჩუნებს სამსახურს. რაც შეეხება ხარჯების დაზოგვას, ნათია მიქელაძის თქმით, ყველა დონეზე იგეგეგმება ადმინისტრაციული ხარჯის ოპტიმიზაცია. საკანონმდებლო პაკეტი პარლამენტში გუშინ დარეგისტრირდება და ორშაბათიდან დაიწყება მასზე მუშაობა.

ვინა ხარ, მანიაკო? ინგას „მურჯალოც“ ვერ აშინებდა...

ჟურნალისტი ინგა გრიგოლია აცხადებს, რომ მამაკაცმა, რომელიც მასზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახორციელებდა და დაკავებულიც არის, კიდევ დაურეკა. გრიგოლია ინფორმაციას ამის შესახებ „ფეისბუქით“ ავრცელებს.

„მოგიყვეთ, როგორ მიცავს ჩემი სახელმწიფო? მას მერე, რაც ამდენი ტანჯვა გავიარე, რომ მოძალადე მანიაკი დაეკავებინათ, რომელიც სახლის კარის შემომტვრევით მემუქრებოდა. დღეს ამ კაცმა ღია ნომრიდან ისევ დამირეკა!!! აი, ამ ნომრიდან დამირეკა, რომელიც დევს სტატუსის ქვეშ, ფსიქიატრიულის ვიღაც თანამშრომლის ნომრიდან. როდესაც ადვოკატმა დარეკა პროკურატურაში ამ ამბის გასაპროტესტებლად, პროკურატურამ უთხრა, რომ თურმე ამდენი ხანი არ გადაუგზავნიათ დადგენილება თუ მოთხოვნა, რომ მოძალადეს ზარების უფლება ჰქონოდა შეზღუდული. დავიჯერო, დაავიწყდა პროკურატურას ამ ზარების უფლების ოფიციალურად შეზღუდვა??? არ მჯერა. უნდოდათ და არ გადააგზავნეს, უნდოდათ ჩემზე ზემოქმედებისთვის და არ შეუზღუდეს მოძალადეს მსხვერპლთან ზარების უფლება. აი, ასე მიცავს სახელმწიფო. არც ერთი წამით აღარ მჯერა, რომ ეს კაცი შემთხვევით გადამეკიდა. გუშინწინ მქონდა ძალიან მძიმე გადაცემა ხორავას ქუჩის მკვლელობაზე პროკურატურის მძაფრი კრიტიკით და დღეს უცებ დაარეკინეს ფსიქიატრიულიდან ამ მანიაკს და დღეს პროკურატურა ამბობს, რომ თურმე აქამდე ზარების შეზღუდვა არ აუკრძალავთ მანიაკისთვის“....

პროკურატურის განმარტება

საქართველოს მთავარი პროკურატურა ჟურნალისტ ინგა გრიგოლიას საქმესთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს, სადაც ნათქვამია, რომ გრიგოლიას მიმართ განხორციელებულ მუქარის ფაქტზე დაკავებული პირის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა შეწყდა და ის აღარ იმყოფება პენიტენციურ დაწესებულებაში. მიზეზად პროკურატურა რ.ნ-ს ფსიქიკურ მდგომარეობას ასახელებს:

მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე ინგა გრიგოლია ცნობილი იქნა დაზარალებულად და მისი, როგორც დანაშაულის მსხვერპლის ფსიქიკური და მორალური ზიანის დადგენის მიზნით გამოძიების მწარმოებელი ორგანოს — საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დაინიშნა და ჩატარდა ფსიქოლოგიური ექსპერტიზა შესაბამის საექსპერტო დაწესებულებაში.

2018 წლის 12 ივნისის სტაციონარული სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად დადგინდა, რომ რ.ნ. დაავადებულია ქრონიკული ფსიქიკური ავადმყოფობით და მას არ შეეძლო, გაეცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი და მართლწინააღმდეგობა და ეხელმძღვანელა მისთვის.

ინგა გრიგოლიას ადვოკატის მიერ სატელევიზიო ეთერით გაკეთებული განცხადება იმის თაობაზე, რომ ბრალდების მხარის მიერ ჩადენილია გულგრილობა, ვინაიდან მათ მიერ არ მოხდა რ.ნ.-სთვის ფსიქიატრიულ-სამკურნალო დაწესებულებაში სატელეფონო კომუნიკაციით სარგებლობის უფლების შეზღუდვა, წარმოადგენს ARAKOMPETENTUROBAS DA KANONIS ARCODNAS“.

ბიზნესთან კომუნიკაცია აუცილებელია!

დედაქალაქის მერიის ორგანიზებით, სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“ ბიზნესსექტორის წარმომადგენლებთან შეხვედრა გაიმართა. ქართველ და უცხოელ ინვესტორებს შეხვედრაზე საინვესტიციო პროექტებთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს.

თბილისის საინვესტიციო პორტფელის შესახებ პრეზენტაცია ვიცე-მერმა ირაკლი ხმალაძემ და მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსმა ანდრია ბასილაიამ გამართეს. დამსწრე საზოგადოებას სიტყვით დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ მიმართა.

„ქვეყნისა და ქალაქის განვითარებაში ბიზნესის მონაწილეობა ძალიან მნიშვნელოვანია. რა თქმა უნდა, ეს პასუხისმგებლობა, რომელიც ჩვენ, მერიის თითოეულ თანამშრომელს აქვს აღებული, კარგად გვაქვს გაცნობიერებული და ჩვენს გასაკეთებელს აუცილებლად გავაკეთებთ. ვფიქრობ, რომ ბიზნესის ჩართულობით, უფრო მეტის გაკეთება შეგვიძლია, რადგან თქვენ ხართ ადამიანები, რომელთაც ძალიან დიდი წვლილი შეაქვთ ქვეყნისა და ქალაქის ეკონომიკურ განვითარებაში და უამრავი ადამიანი გყავთ დასაქმებული. ვფიქრობ, პროექტები, რომლებსაც წარმოგიდგენთ, თქვენთვისაც იქნება საინტერესო“, — განაცხადა კახა კალაძემ.

დედაქალაქის მერმა იმედი გამოთქვა, რომ საინვესტიციო პროექტების განხორციელებაში ბიზნესის წარმომადგენლების თანადგომა მომავალშიც გაგრძელდება და მათ მერიის მხრიდან მაქსიმალური თანადგომა ექნებათ.

„ბიზნესთან კომუნიკაცია ძალიან მნიშვნელოვანია, რადგანაც გვინდა, რომ ქალაქის განვითარების ტემპი უფრო სწრაფი იყოს. გვინდა, რომ ქალაქში არსებული მდგომარეობა მნიშვნელოვნად შევცვალოთ და ვფიქრობ, რომ ზუსტად ბიზნესის ჩართულობით, ერთობლივად შევძლებთ, ვუპასუხოთ იმ გამოწვევებს, რომელიც დღეს აქტუალურია“, — აღნიშნა თბილისის მერმა.

ირაკლი კობახიძე სენატორ რონ ჯონსონს შეხვდა

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე, უკრაინელ, მოლდოველ, ლიეტუველ და პოლონელ კოლეგებთან ერთად, ამერიკის შეერთებული შტატების სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის ევროპის და რეგიონული უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის ქვეკომიტეტის თავმჯდომარეს, სენატორ რონ ჯონსონს შეხვდა.

საუბარი ქვეყნებს შორის სტრატეგიულ პარტნიორობასა და სამმავლო თანამშრომლობის პერსპექტივებს შეეხო. ყურადღება გამახვილდა ინტენსიური და კოორდინირებული თანამშრომლობის მნიშვნელობაზე როგორც ორმხრივ, ასევე მრავალმხრივ ფორმატებში. ირაკლი კობახიძემ რონ ჯონსონს ქვეყანაში განხორციელებული და მიმდინარე დემოკრატიული რეფორმები, ასევე, საქართველოს პარლამენტის დღის წესრიგი გააცნო.

მხარეებმა ხაზგასმით აღნიშნეს საქართველო-მოლდოვა-უკრაინის საპარლამენტო ასამბლეის მნიშვნელობა. სენატორმა ხუთი ქვეყნის პარლამენტის თავმჯდომარეს მტკიცე მხარდაჭერა და თანამშრომლობისთვის მზადყოფნა დაუდასტურეს.

აშშ ასრულებს მნიშვნელოვან როლს ჩვენი სუვერენიტეტის დაცვის საქმეში

„ამერიკის შეერთებული შტატები ასრულებს მნიშვნელოვან როლს ჩვენი სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის საქმეში“, — ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ ვაშინგტონში, ხუთი ქვეყნის პარლამენტის თავმჯდომარის ერთობლივ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

ირაკლი კობახიძემ უკრაინელ, მოლდოველ, ლიეტუველ და პოლონელ კოლეგებთან ერთად ქვეყნების წინაშე არსებული საერთო გამოწვევებისა და მიზნების, ასევე ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

„ჩვენ გვაკავშირებს ძალიან ძლიერი თანამშრომლობა უკრაინასთან, მოლდოვასთან, ლიეტუვასთან და პოლონეთთან. ჩვენს ქვეყნებს ბევრი საერთო აქვს. სამწუხაროდ, უკრაინასა და მოლდოვასთან ერთად, ვიზიარებთ საერთო გამოწვევებს, რაც ჩვენი ქვეყნების ტერიტორიულ მთლიანობას უკავშირდება. გვაქვს ასევე, ძალიან მნიშვნელოვანი საერთო მიზნები. საქართველოს და უკრაინის საერთო მიზანი ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციაა, მოლდოვასთან გვაერთიანებს ევროინტეგრაციის მიზანი.

ჩვენს ქვეყნებს ბევრი აქვს საერთო, რაც ერთად დგომას მოითხოვს. ერთად უნდა ვიდგეთ. ასევე, გვაკავშირებს საერთო ისტორიაც. რაც მთავარია, გვაერთიანებს ღირებულებები და ჩვენი ნება ერთად დგომისა, თანამშრომლობისა, სწორედ ამ მყარ ღირებულებებს ეფუძნება. ჩვენ ხელს ვუწყობთ დასავლური ღირებულებების დანერგვას აღმოსავლეთში და ესაა ყველაზე მნიშვნელოვანი საერთო რამ, რაც მეგობარ ქვეყნებთან გვაკავშირებს. ამერიკის შეერთებული შტატები ასრულებს მნიშვნელოვან როლს ჩვენი სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის საქმეში. ჩვენ მადლიერები ვართ ამერიკის შეერთებული შტატების, აშშ-ის კონგრესის. იმედი გვაქვს, რომ მხარდაჭერა გაგრძელდება მომავალშიც“, — განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ.

არასამთავრობოების ანგარიში ტენდენციურია!

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი გიორგი მიქაუტაძე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმოდგენილ ანგარიშს, რომელიც საბჭოს 2017 საქმიანობას ეხება, ცალმხრივს და ტენდენციურს უწოდებს. გიორგი მიქაუტაძე ამბობს, რომ დღეს საბჭო მაქსიმალურად გამჭვირვალეა.

„წარმოდგენილ ანგარიშში საკითხები შეფასებულია ცალმხრივად და ტენდენციურად. არის მოყვანილი ერთეული საგამონაკლისო შემთხვევები და არის ამ შემთხვევების განზოგადება, გაკეთებული იმდაგვარად, რომ წარმოჩინდეს, ეს ასე არის საბჭოს ყოველდღიურ საქმიანობაში, რაც ვფიქრობ, არასწორია. თუმცა ჩვენთვის ძალიან საყურადღებოა ყოველი ასეთი ანგარიში. რა თქმა უნდა, ყურადღებით გავეცანით, წარმოვადგინეთ ჩვენი პოზიციები და არის რიგი საკითხები, რასაც აუცილებლად გავიზიარებთ და შევეცდებით, ამ მიმართულებით გაუმჯობესდეს საბჭოს საქმიანობა“, — განაცხადა მიქაუტაძემ.

„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“ და „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველომ“ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის მეექვსე, 2017 წლის საქმიანობის ანგარიში წარადგინეს, სადაც შეფასებულია საბჭოს საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობა და საბჭოს საქმიანობა მოსამართლეთა შერჩევა/დანიშვნის, საბჭოს საქმიანობის გამჭვირვალობის, სასამართლოს თავმჯდომარის დანიშვნის წესისა და პრაქტიკის, მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის და სხვა მიმართულებებით.

სსფ საქართველოს ეკონომიკურ რეფორმებს სრულად იზიარებს

საერთაშორისო სავალუტო ფონდი მიესალმება საქართველოს მთავრობის ეკონომიკურ პოლიტიკას, რომლებიც მიზნად ისახავს მაკროეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნებასა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობას. ეს პოზიცია კიდევ ერთხელ არის დადასტურებული სავალუტო ფონდის მიმდინარე პროგრამის მეორე მიმოხილვის ანგარიშში, რომელიც ფონდის აღმასრულებელ დირექტორთა საბჭომ 2018 წლის 27 ივნისს დაამტკიცა.

სავალუტო ფონდის მისიის შეფასებით, შესრულებულია პროგრამით გათვალისწინებული ყველა რაოდენობრივი კრიტერიუმი, უმეტესობა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით.

მიმოხილვაში ფონდი აქცენტს აკეთებს ქვეყანაში ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯებსა და გაუმჯობესებაზე — ეკონომიკური ზრდა მოსალოდნელზე მაღალი იყო, ინფლაციამ დაიკლო, ფისკალური და საგარეო ეკონომიკური პარამეტრები გაუმჯობესდა, სახელმწიფო ვალი მცირდება. მნიშვნელოვანი პროგრესია სტრუქტურული რეფორმების გატარების თვალსაზრისითაც. ამასთან, საქართველოს ეკონომიკაზე გავლენის მქონე შესაძლო რისკები დაბალანსებულია. სავალუტო ფონდის შეფასებით შეინიშნება მნიშვნელოვანი გაუმჯობესებები, რაც მიზნად ისახავს მაღალ და ინკლუზიურ ზრდას, ეკონომიკის მდგრადობის უზრუნველყოფას და განათლების, ინფრასტრუქტურის და კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესებას.

კოოპერატიული ბინათმშენებლობების შედეგად დაზარალებულთ სახლების მშენებლობისთვის მიწა 1 ლარად გადაეცემათ

დედაქალაქის მერია ბიზნესსექტორს კოოპერატიული ბინათმშენებლობების შედეგად დაზარალებულთათვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობის პროექტს სთავაზობს. როგორც დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, მერია მზადაა, ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას მიწები 1 ლარად გადასცეს.

მისი თქმით, ამ ეტაპზე რამდენიმე ლოკაცია შეირჩა. ესენია: დიდ დიღომში მე-4 მიკრორაიონი, 25-ე კორპუსის მიმდებარედ, დიღმის მასივში მე-4 მიკრორაიონი და ნუცუბიძის მე-4 მიკრორაიონი.

„სასურველი იქნება, რომ საპენსიო ასაკი გათანაბრდეს!“

პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი ზოიძე ფიქრობს, რომ საქართველოში საპენსიო ასაკი უნდა გათანაბრდეს. ზოიძის თქმით, ამ თემაზე დისკუსია ამჟამად არ მიმდინარეობს, თუმცა ეს მომავლის საკითხია.

„უმეტესი ქვეყანა მოსახლეობის დაბერების გამო, საპენსიო ასაკს ცვლის, მათ შორის, ზრდის კიდეც. ჩვენთან ამაზე მსჯელობა მიდიოდა, მაგრამ მსგავს გადაწყვეტილებას არ ვიღებთ. შეიძლება, პენსიის გათანაბრება მოხდეს, მაგრამ ამაზე მსჯელობა არც დაწყებულა. სასურველი იქნება, რომ საპენსიო ასაკი გათანაბრდეს. აუცილებელი არ არის 65 წელი იყოს, შეიძლება 63 წელზე გათანაბრდეს. ეს მსჯელობის თემაა და გვინდა, ჩვენი პენსიონერები ღირსეული პენსიით უზრუნველვყოთ“, — განაცხადა დეპუტატმა.

საქართველოსა და ჰონგ კონგს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება გაფორმდა

28 ივნისს საქართველოსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სპეციალურ ადმინისტრაციულ რეგიონს ჰონგ კონგს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება გაფორმდა.

შეთანხმებას საქართველოს მთავრობის სახელით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ გენადი არველაძემ, ხოლო ჰონგ კონგის სახელით, კომერციისა და ეკონომიკური განვითარების მდივანმა ედვარდ იუა თან-ვამ (Edward YAU TANG-WAH) მოაწერეს ხელი.

შეთანხმებას ხელი მოეწერა Belt and Road-ის სამიტის გახსნით ცერემონიალზე, სადაც ხაზი გაესვა იმ ფაქტს, რომ აღნიშნული შეთანხმება პირველია რეგიონში, რომელიც ჰონგ კონგმა გააფორმა. სამიტს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან 3 000-ზე მეტი სტუმარი ესწრება, მათ შორის სამთავრობო და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები.

ხაზგასასმელია, რომ ეს ხელმოწერა იყო სამიტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზავნილი და შედეგი, რომელიც რეგიონთაშორისი ვაჭრობის გააქტიურებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს.

შეთანხმების გაფორმებას საფუძვლად დაედო საქართველოსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება, რომლის მოლაპარაკებების პროცესშიც ჰონგ კონგი დამკვირვებლის სტატუსით მონაწილეობდა.

„მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ჰონგ კონგი ატარებს ღია ეკონომიკურ პოლიტიკას და წარმოადგენს ერთ-ერთ უმსხვილეს საკვანძო სატრანზიტო საფინანსო საერთაშორისო ცენტრს. მისი ყოველწლიური სატრანზიტო ტვირთგამტარიანობა 500 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს, ხოლო თავად 60 მილიარდამდე იმპორტს მოიხმარს.

ჰონგ კონგი არის საქართველოსთვის როგორც არსებული, ასევე პოტენციური საექსპორტო პროდუქციის ისეთი მნიშვნელოვანი იმპორტიორი და ტრანზიტული ქვეყანა, როგორიცაა ყველი, უალკოჰოლო სასმელები, სპირტიანი სასმელები, ღვინო, ხილ-ბოსტნეულის კონსერვები, თხილი, ხილი, თაფლი, ტექსტილის მზა ნაწარმი, ტყავის სამგზავრო ჩანთები, მეტალის ნაწარმი და სხვა“, — განაცხადა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე გენადი არველაძემ.

წარმოდგენილი შეთანხმების ძალაში შესვლა მიმდინარე წლის ბოლომდე იგეგმება. შესაბამისად მისი ამოქმედება ხელს შეუწყობს სავაჭრო ბრუნვის ზრდას მხარეებს შორის და ქართველ მეწარმეებს მისცემს შესაძლებლობას, დამატებითი ბიუროკრატიული ბარიერების გარეშე მიაწოდონ საკუთარი პროდუქტი და მომსახურება 7-მილიონიან მაღალ მსყიდველობითუნარიან სამომხმარებლო ბაზარს.

თქვენ ვისგან ილებთ მაგალითს?..

დანარჩენზე მერე ვისაუბროთ!

„თუ კულტურა არ გვექნება, მაშ რისთვის ვომობთ?“
უინსტონ ჩერჩილი

„ფეისბუქმა“ ამომიგდო სამი წლის წინანდელი პუბლიკაცია. საოცარია, ისე „დროულად“(!) და „გამიზნულად“(!) იცის მარკმა „დახმარება“, მოდი და ნუ იეჭვიანებ, რომ... „გისმენენ და თვალს გადევნებენ“ იქ, ოკეანის გაღმიდან.

მაგრამ, დავიჯერო, მარტო მე „მისმენს“ მარკი? ჩვენს პრეზიდენტს? ან ძველს არ „უსმენდა“, ან ახალ პრემიერს? პარლამენტის თავკაცს? „მორჩილ“ უმრავლესობაზე რომ არაფერი ვთქვათ...

ალბათ აქვთ სათანადო არგუმენტები... „რაღაცები“ თითქოს ახსნეს... და ყველაფერი დადის მართვის და ხარჯების ოპტიმიზაციამდე...

მაგრამ არის თემები, არის პრობლემები, რომელიც ამ პრაგმატიზმის ჩარჩოებს ცდება. და ამ პრობლემების გადაწყვეტისას, უპრიანია საზოგადოებასთან მოთათბირება, მისი აზრის მოსმენა მაინც, რამეთუ, დალოცვილებო, საზოგადოებისთვის, ხალხისთვის არ „აკეთებთ“ ამ რეფორმებს?

რავა ჯეჯელავასავით იქცევით თქვენც... ან შოთაძესავით... ან ნარმანიასავით... ან ალავიძესავით... მერე გამოხვალთ მორიგი „აღიარებით“, რომ შეცდით... ისევ... ჯერ ქება იცით უსაზღვრო და მერე...

ისე, საინტერესო კია, ასეთს რას გასწავლიან იქ, ე.წ. სემინარებსა თუ ტრენინგებზე, რომ ღიღინებთ „მე ვარ და ჩემი ნაბადი“ და „ცა ქუდად არ მიგაჩნიათ და დედამიწა ქალამნად“?

როგორ გგონიათ, ინტერნეტზე წვდომა თქვენს გარდა სხვას არავის აქვს? უცხო ენას (ენებს) და კომპიუტერს თქვენს გარდა სხვა არავინ ფლობს? თუ ცხონებული ბესო ჟღენტის მოსწრებულად ნათქვამისა არ იყოს, წიგნები, რომლებსაც თქვენ (თუ) კითხულობთ, ერთ ცალად იბეჭდება და ისიც მხოლოდ თქვენთვის?

შეკითხვები უსასრულოდ შეიძლება გაგრძელდეს...

ჰოდა, ამასთან დაკავშირებით:

ჯერ ერთი, ძალიან, ძალიან, ძალიან მინდა, რომ ეს ვიდეო ნახონ და ყურადღებით მოისმინონ მათ, ვინც ასე ადვილად, მეტისმეტად წუთიერი პრაგმატიზმის სულისკვეთებით წყვეტს საკითხს განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლების დაცვის პრობლემატიკის ერთ სამინისტროში გაერთიანების შესახებ.

და მეორე, შეგახსენოთ ქრესტომათიული მაგალითი ჩერჩილის ცხოვრებიდან (აბა, სტალინისას თქვენ როგორ გაგიბედავთ და გაკადრებთ):

ფაშიზმთან ომის წლებში, როცა მას – პრემიერს ქვეყნის ბიუჯეტის პროექტი შესათანხმებლად მიუტანეს, იქ ვერ აღმოაჩინა კულტურისთვის განკუთვნილი ხარჯები და იკითხა:

– კულტურა?

– რა დროს კულტურაა, სერ, ამ გაგანია ომის დროს? – იყო პასუხი.

ჩერჩილი: თუ კულტურა არ გვექნება, მაშ რის გულისთვის ვომობთ?

და მესამე, ესეც ქრესტომათიიდან:

რუზველტმა, ომის დამთავრებას რომ ვარაუდობდა(თუმც, ვერ მოესწრო), ომის შემდგომი პერიოდისთვის მთავრობას დაუსახა სამი სტრატეგიული მიმართულება: **თავდაცვა** (მუდმივი), **გზები** (ადრინდელის გაგრძელება) და... **განათლება!!!**

გეყურებათ, ბატონებო? მაგრამ ის კი არ უთქვამს, ამ მხრივ ხარჯები შეამცირეთო... ის, რომ ზოგიერთ წამყვან ქვეყანაში კულტურის სამინისტრო არ არის, იმას კი არ ნიშნავს, რომ კულტურა არ აინტერესებთ. იქ სხვა სისტემაა და როცა ოდნავ მაინც მიუახლოვდებით მაგ სისტემებს, მაშინ... აი, საფრანგეთი კი ისეა შეშფოთებული უცხოენოვანი კულტურის მოძალებით, რომ კი არ გააუქმა კულტურის სამინისტრო, დამატებითი რესურსები გამოუყო და საკანონმდებლო დონეზე გაამკაცრა ღონისძიებები, რათა წინ აღუდგეს ფრანგული კულტურის დაკნინების მცდელობას.

თქვენ ვისგან იღებთ მაგალითს?...

დანარჩენზე მერე ვისაუბროთ!



მანამდე კი გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველებსაც ვთხოვ, მოიძიონ ეს ვიდეოჩანაწერი და დარწმუნდნენ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ამ პატარა წერილში წამოჭრილი პრობლემა...

ნუგზარ ფოფხაძე

https://www.facebook.com/SovFedInfo/videos/960870200722875/UzpfSTMzNjA2NTA0MzIwMzM5NzpWSzo5NjA4NzAyMDA3MjI4NzU/

ნახიჩევანთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები კიდევ უფრო გაღრმავდება

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ზურაბ პატარაძე ქალაქ ბათუმის მერთან ლაშა კომახიძესთან ერთად აზერბაიჯანში, ნახიჩევანის ავტონომიურ რესპუბლიკაში იმყოფება. ვიზიტის ფარგლებში შედგა შეხვედრები ნახიჩევანის უმაღლესი მეჯლისის თავმჯდომარე ვასიფ თალიბოვთან და რეგიონის სხვა ხელმძღვანელ პირებთან. როგორც აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ აზერბაიჯანულ მედიასთან განაცხადა, ნახიჩევანის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკები სტრატეგიული პარტნიორები და დამეგობრებული რეგიონებია, ვიზიტის მიზანი კი არსებული ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავება და რეგიონებს შორის სავაჭრო ბრუნვის გაზრდაა.

„ნახიჩევანში მულტიფუნქციური, მაღალი სტანდარტების მქონე საწარმოები დავათვალიერეთ, გავეცანით მათ პროდუქციას და გავიზიარეთ გამოცდილება. მისასალმებელია, რომ წარმოების და ინფრასტრუქტურის მიმართულებით ძალიან დიდი პროგრესი აქვს ნახიჩევანს. აზერბაიჯანის ბიზნესსექტორი მზად არის, ჩაერთოს აჭარაში მიმდინარე საინვესტიციო პროექტებში, მათ შორის ერთობლივი საწარმოების შექმნისა და ინფრასტრუქტურის მოწყობის კუთხით“ – აღნიშნა ზურაბ პატარაძემ. აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ და ქალაქ ბათუმის მერმა რამდენიმე საწარმო დაათვალიერეს, გაეცნენ ახალ ტექნოლოგიებს დეკორატიული ფილებისა და შენობების ფასადების მოპირკეთების მიმართულებით.

ზურაბ პატარაძის თქმით, ორ რეგიონს შორის მჭიდრო თანამშრომლობა გაგრძელდება, დაიგეგმა ნახიჩევანის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელი პირებისა და ბიზნესსექტორის წარმომადგენლების ვიზიტი აჭარაში.

აგვისტოში ბათუმს 40 ახალი ავტობუსი დაემატება

გუშინ ბათუმის საკრებულოს სხდომაზე წარდგენილი იყო პროექტი, რომელიც ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (№2 ავტოსატრანსპორტო საშუალებებით/მიკროავტობუსი) ნებართვის მაძიებელთა კონკურსის წესის დადგენას ითვალისწინებს. აღნიშნული პროექტის მიღების მიზანს №2 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების კონკურსის საფუძველზე ტექნიკურად გამართული მიკროავტობუსების შერჩევა წარმოადგენს.

როგორც ბათუმის მერიაში განმარტავენ, კონკურსი იმ სამარშრუტო ხაზებზე გამოცხადდება, რომლებიც საკრებულომ 2018 წლის 29 მაისის №43 დადგენილებით დაამტკიცა.

ქალაქში დღიურად მოძრავი 450-მდე მიკროავტობუსი ოპტიმიზაციის შედეგად 250-მდე შემცირდება, რის შემდეგაც მიკროავტობუსი ახალი რეგულაციებისა და ახალი სამარშრუტო ხაზების მიხედვით იმოძრავებს.

კონკურსი განსაზღრავს კრიტერიუმებს, თუ რა სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდეს სამარშრუტო ტაქსი, ქალაქში მოძრაობის უფლება რომ მიეცეს. კონკურსის ძირითადი მოთხოვნებია მიკროავტობუსის ტექნიკური გამართულობა და უსაფრთხოების ნორმების დაცვა.

აღსანიშნავია, რომ აგვისტოში ქალაქს 40 ახალი ავტობუსი დაემატება. გამოცხადდება ვაკანსიები მძღოლის პოზიციაზე და მიკროავტობუსების მძღოლებს კონკურსში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა ექნებათ. დღეისათვის ქალაქში მუნიციპალური ავტობუსები სრული დატვირთვით მუშაობს.

ბიუროკრატიაზე დაზოგილი სახსრები ჩვენს საზოგადოებას მოხმარდება

„ბიუროკრატიაზე დაზოგილი სახსრები სახელმწიფო ბიუჯეტს ანუ ისევ ჩვენს საზოგადოებას მოხმარდება“, – ასეთია მამუკა ბახტაძის ხედვა.

პრემიერის აზრით, სტრუქტურული ოპტიმიზაციის შედეგად შემცირებული სამთავრობო ხარჯები მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით ეტაპობრივად 3,9%-ზე ჩამოვა. სწორედ ეს ნიშნული იქნება მაქსიმალური ზედა ზღვარი, რითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ, რადგან ჩვენ არ გვაქვს იმის ფუფუნება, იმაზე მეტი ვხარჯოთ მართვაზე, ვიდრე დღეს ეს ჩვენს ქვეყანას ესაჭიროება.

რას ნიშნავს პრემიერის ხედვა, რომ ბიუროკრატიაზე დაზოგილი სახსრები ჩვენს საზოგადოებას მოხმარდება? ღარიბი ოჯახების ბავშვების დაფინანსების გარდა, ეს ხომ არ შეეხება პენსიონერებს, განათლებისა და სხვა სფეროს მუშაკებს, რომელთა ანაზღაურებაც დაბალია?

თსუ-ის ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი **გიორგი ღაღანიძე** ამბობს, რომ, რაც მეტი ბიუროკრატიული ხარჯი დაიზოგება, მით უკეთესი, რადგან ეს ფული წავა ეკონომიკის რეალურ სექტორში. მართალია, ისე არ მოხდება, რომ საერთოდ გააუქმონ ყველა სამინისტრო, მაგრამ მცირე მთავრობის კონცეფციის ფარგლებში, შესაძლოა, სახელმწიფო ხარჯი მართლაც შემცირდეს.

„იდეა კარგია, მაგრამ აქ მთავარია, თუ როგორ განხორციელდება ეს ჩანაფიქრი. 3,9%-ს ნუ ვეხუმრებით, ეს კარგი მაჩვენებელია. როდესაც უკვე რაოდენობრივი კრიტერიუმი დადო ადამიანმა, ეს ნიშნავს, რომ მას კარგად აქვს ამაზე ნაფიქრი. თუმცა ამ ეტაპზე ვერავინ იტყვის, თუ რამდენად შესრულდება ეს პროგნოზი, როგორ მოხმარდება დაზოგილი თანხები ჩვენს საზოგადოებას. ესეც, ალბათ, მთავრობის ხედვა იქნება. პირადად მე, გამომდინარე ჩემი პოზიციიდან, რომ გახლავართ თსუ-ის ერთ-ერთი ფაკულტეტის დეკანი, ვფიქრობ, ყველაზე სწორი იქნება, გამოთავისუფლებული თანხები მიიმართოს განათლების სისტემაში. სწორედ ამ სფეროში უნდა განხორციელდეს პრიორიტეტული დაფინანსება. ეს არ ნიშნავს, პროფესორ-მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების ზრდას. ცხადია, ეს ცუდი არ იქნებოდა, მაგრამ ამ ეტაპზე ამას არ ვგულისხმობთ. ახლა საუბარია იმაზე, რომ სასწრაფოდ ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგას, რათა სასკოლო განათლება გამოსწორდეს, შემდეგ პროფესიულ განათლებას მიეხედოს და უმაღლესი განათლების სისტემაში რა მტკივნეული პრობლემებიცაა დაგროვილი, მალე გადაწყდეს“, – აცხადებს გიორგი ღაღანიძე.

მისი თქმით, შესაძლებელია, სხვამ სხვანაირად იფიქროს და თქვას, მოდით, თავი დავანებოთ განათლებას და სპორტში ჩავდოთ ეს ფული. ამასაც თავისი ლოგიკა ექნება. თუმცა ქვეყნის განვითარების ხანგრძლივვადიანი პერსპექტივიდან გამომდინარე, ყველაზე სწორი იქნება, რომ მაქსიმალური თანხები ჩაიდოს განათლების სისტემაში.

მანანა ნოზაძე

ᲙᲐᲮᲔᲗᲨᲘ ᲐᲢᲛᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ 40 ᲗᲔᲗᲠᲐᲛᲓᲔ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲓᲐ

ᲙᲐᲮᲔᲗᲨᲘ ატმის ფასმა დაიკლო. ერთი კილოგრამის ღირებულებამ ლარნახევრიდან 40 თეთრამდე დაიწია. არსებული ფასით და რეალიზაციის მასშტაბით უკმაყოფილონი არიან ფერმერები. ამ დრომდე არ გახსნილა ის საწარმო, რომელშიც ატამი და ვაშლატამა უნდა ჩაიბარონ. რატომ ხდება ისე, რომ ყოველ წელს გლეხი უხვ მოსავალს პრობლემების ფონზე ყიდის ან ვერ ყიდის და რა გამოსავალს ხედავენ დარგის სპეციალისტები?

გურჯაანში მცხოვრები ფერმერები, რომლებსაც ატამი გასაყიდად ქუჩაში აქვთ გამოტანილი, ამბობენ, რომ რეალიზაცია 40 თეთრადაც კი გაძნელებულია. ადგილობრივები იმასაც ამბობენ, რომ გურჯაანში მცირე რაოდენობით ექსპორტიორები არიან ჩასული, თუმცა ისინი მხოლოდ უნაკლო ხილს იბარებენ. აღსანიშნავია, რომ ამ დრომდე არ გახსნილა სოფელ ჩუმლაყში მდებარე გადამმუშავებელი საწარმო, სადაც სხვა ხილთან ერთად ატამიც უნდა ჩაიბარონ.

ᲬᲔᲚᲡ ᲙᲐᲮᲔᲗᲨᲘ 36 ᲐᲗᲐᲡ ᲢᲝᲜᲐᲛᲓᲔ ᲐᲢᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲕᲐᲨᲚᲐᲢᲐᲛᲐᲡ ᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲡ ᲔᲚᲝᲓᲔᲑᲘᲐᲜ.

ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲨᲘ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲨᲢᲐᲑᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲐᲢᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲕᲐᲨᲚᲐᲢᲐᲛᲐᲡ ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲐᲒᲕᲐᲠᲝᲡ.

ᲨᲢᲐᲑᲘ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲙᲝᲝᲠᲓᲘᲜᲐᲪᲘᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ ᲘᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲡ.

„მთელი დღე ქუჩაში ვარ და ერთ ყუთზე მეტი ვერ გავყიდე. ფასი 40 თეთრი აქვს და მაინც არავის მიაქვს. არადა, მოყვანა უფრო ძვირი მიჯდება“.

„ვკრეფთ, მაგრამ გაყიდვა ძალიან გვიჭირს. საექსპორტოდ მაღალი გამავლობის მანქანებია შემოსული, თუმცა ატამს ერთი პატარა უმნიშვნელო წერტილიც რომ ჰქონდეს, არ მიაქვთ. დილას აქეთ ვზივარ, ორი ყუთი მიდგას და ვერ გამიყიდია“.

„მყიდველები არიან, მაგრამ ფასი არ მოსწონთ, 30-40 კაპიკიც კი უკვე ეძვირებათ“.

მართალია, ატმის ფასმა დაიკლო, მაგრამ გურჯაანის მერი **ᲐᲠᲩᲘᲚ ᲮᲐᲜᲓᲐᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘ** უკმაყოფილო არ არის. მისი თქმით, გასულ წელს ფასი კიდევ უფრო დაბალი იყო. რაც შეეხება ხილის გადამმუშავებელ საწარმოს, მერის თქმით, დაწესებულებას ტექნიკური პრობლემები აქვს და მისთვის ჯერჯერობით ცნობილი არ არის, როდის დაიწყებს ის ხილის მიღებას.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩუმლაყში ხილის გადამმუშავებელი საწარმო 2014 წელს მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გახსნა.

საწარმო ორი ნაწილისგან შედგება. ერთში ხილის დამუშავება, გასუფთავება და დაფასოება ხდება, ხოლო მეორე 400-ტონიანი სამაცივრე მეურნეობაა.

რადგან მოსახლეობა დიდ იმედებს ამყარებს ხილის გადამმუშავებელი საწარმოს ამუშავებაზე, ჩვენ კომპანიის წარმომადგენელს **ᲚᲔᲕᲐᲜ ᲜᲝᲖᲐᲫᲔᲡ** დავუკავშირდით. ის ამბობს, საწარმოს გახსნისთვის სამზადისი მიმდინარეობსო, თუმცა შეკითხვამ, როდის გაიხსნება საწარმო და როდის დაიწყებენ მოსახლეობისგან მოსავლის ჩაბარებას, ლევან ნოზაძის გაღიზიანება გამოიწვია:

„სამზადისი მიდის, რომ საწარმო გაიხსნას. რადგან პროდუქტი მოიწია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მისი გადამუშავება უკვე შეიძლება. ხილს უნდა ჰქონდეს თავისი შაქრიანობა. თქვენ გსმენიათ იმის შესახებ, რომ ქარხანას ჰქონდეს წინასწარ განსაზღვრული დრო, რომელ დღეს და რომელ საათზე გაიხსნება? როდესაც გაიხსნება ქარხანა, დაინახავთ და მოსახლეობას ამის შესახებ ეცოდინება“.

წელს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ატმის რეალიზაცია და მისი დაბალი ფასი პრობლემას წარმოადგენს. უფრო მეტიც, ყოველთვის პრობლემურია იმ ხილისა და ბოსტნეულის რეალიზაცია, რომელიც უხვად მოდის — მაგალითად, საზამთრო, ნესვი, ბადრიჯანი, წიწაკა, კიტრი, პომიდორი და ა.შ. ასოციაცია „მომავლის ფერმერის“ თავმჯდომარე **ᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜ ᲒᲘᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘ** გვეუბნება, რომ ასე იქნება ყოველთვის, თუკი არ განისაზღვრება, რაზეა მოთხოვნა ქვეყანაში და რომელი მიმართულებით უნდა განვითარდეს კონკრეტული დარგი.

„არ შეიძლება, სახელმწიფო ყველა კულტურას ჩამოეკიდოს და, საბოლოო ჯამში, ისე გამოვიდეს, რომ არაფერი არ გეჭიროს. ჯობია, წინასწარ გამოკვეთო რამდენიმე ძირითადი წამყვანი კულტურა და ეს კულტურები ამუშაო, რომელსაც სახელმწიფოსგან და დონორებისგან დახმარება ექნება. თანხები უნდა მიიმართოს იქით, საითაც გვჭირდება კონკრეტული დარგების განვითარება. ეს არის ის ძირითადი პრობლემა, რომელიც მუდამ ასე იქნება. შარშანაც და შარშანწინაც ასე იყო ატმის შემთხვევაში. იგივე მდგომარეობაა მეკარტოფილეობაში“.

ᲬᲔᲚᲡ ᲙᲐᲮᲔᲗᲨᲘ 36 ᲐᲗᲐᲡ ᲢᲝᲜᲐᲛᲓᲔ ᲐᲢᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲕᲐᲨᲚᲐᲢᲐᲛᲐᲡ ᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲡ ᲔᲚᲝᲓᲔᲑᲘᲐᲜ. გურჯაანში სპეციალური შტაბი უნდა გაიხსნას, რომელმაც ატმისა და ვაშლატამას რეალიზაციის პრობლემა უნდა მოაგვაროს. შტაბი სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოორდინაციის ქვეშ იმუშავებს.

ᲙᲐᲚᲛᲐᲮᲘᲡ ᲚᲘᲤᲡᲘᲢᲔᲑᲘ ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲩᲘᲮᲣᲠᲐᲡ ᲛᲘᲐᲑᲐᲠᲔᲡ...

ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲡ დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა საჩხერის მუნიციპალიტეტში რძის პროდუქტების საოჯახო საწარმო, სურსათის ეროვნული სააგენტოს რეგიონული ოფისის მშენებარე ობიექტზე მიმდინარე და ნაკადულის კალმახის საშენ მეურნეობაში განხორციელებული ინფრასტრუქტურული სამუშაოები დაათვალიერა.

საჩხერის მუნიციპალიტეტის დაბა კვერეთში, საშენ მეურნეობაში წითელ ნუსხაში შეტანილი ნაკადულის ქართული კალმახის სახეობის აღდგენა ხორციელდება. ლევან დავითაშვილმა, სოფელ სარეკის საჯარო სკოლის მოსწავლეებთან ერთად, საშენ მეურნეობაში ხელოვნურად გამრავლებული რამდენიმე ასეული ნაკადულის კალმახის ლიფსიტა ბუნებრივ გარემოში, მდინარე ჩიხურაში გაუშვა.

„გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის საშენი მეურნეობა მნიშვნელოვან საქმეს აკეთებს მეთევზეობის სფეროს განვითარებისთვის. მინდა, აღვნიშნო, რომ ამ პროექტის განხორციელება ბატონი გიგლა აგულაშვილის დროს დაიწყო. უმნიშვნელოვანესია გადაშენების პირას მყოფი, წითელწინწკლებიანი ქართული კალმახის სახეობების ველურ ბუნებაში დაბრუნება-აღდგენა, სწორედ ამ მიმართულებით მუშაობს სამინისტრო. დღეს პირველად მოხდა ლიფსიტების ველურ ბუნებაში გაშვება, რასაც წინ მნიშვნელოვანი მოსამზადებელი სამუშაოები უძღოდა“, — განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

2016 წლიდან ეროვნულმა საშენმა მეურნეობამ ახალ პროექტზე, საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობის, ნაკადულის კალმახის გამრავლებაზე დაიწყო მუშაობა. ტერიტორიაზე განხორციელდა ინფრასტრუქტურული სამუშაოები, აშენდა ორი ტბორი და 8 რკინა-ბეტონის სპეციალური აუზი. დღეისათვის ხელოვნურად გამოჩეკილია 8000 ცალი ნაკადულის კალმახის ლიფსიტა. მეურნეობის გეგმა წელიწადში ნახევარი მილიონი ლიფსიტის წარმოება და მდინარეების გათევზიანებაა.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲒᲖᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲤᲐᲡᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲮᲓᲔᲑᲐ

ᲠᲝᲛᲔᲚ ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲔᲑᲡ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲐ ᲛᲝᲡᲐᲙᲠᲔᲑᲔᲚᲘ?

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ **გზების ნაწილი ფასიანი გახდება. საკითხს საავტომობილო დეპარტამენტი უკვე განიხილავს. უწყების ინფორმაციით, კონკრეტულ ფასსა და თარიღზე საუბარი ამ ეტაპზე ნაადრევია, თუმცა ეს პროცესი ავტობანის დასრულებას, შესაძლოა, არ დაელოდოს და ცალკეულ მონაკვეთებზე ეტაპობრივად დაწესდეს გადასახადი.**

ვისთვის იქნება გზა ფასიანი, მხოლოდ ტრანზიტული სატვირთო ავტომობილებისთვის თუ ადგილობრივი ტრანსპორტისთვისაც, მსგავს დეტალებზე საავტომობილო გზების დეპარტამენტის ხელმძღვანელი არ საუბრობს. როგორც „ფორტუნასთან“ საუბარში ირაკლი ქარსელაძე ამბობს, ამ და მსგავსი ტიპის დეტალებზე ჯერ კონკრეტული გადაწყვეტილება მიღებული არ არის. მისივე თქმით, გზებზე გადასახადის დაწესებასთან დაკავშირებით, შიდაუწყებრივი სამუშაო შეხვედრა უკვე გაიმართა. დეპარტამენტში მსოფლიო ბანკის და ევროპის რეკონსტრუქციის ბანკის ორი კვლევა არსებობს, სადაც განსხვავებული მოსაზრებებია ჩამოყალიბებული, არაერთგვაროვანია ევროპის გამოცდილებაც ამ მიმართულებით, სამუშაო პროცესში დონორებთან და ეკონომიკის სამინისტროსთან ერთად, ყველა ამ დეტალის განხილვა მოხდება.

„გზების მოვლა-შენახვის გადასახადის პრაქტიკა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაშია, მაგრამ ევროპაშიც კი, გზების გაფასიანებასთან დაკავშირებით სხვადასხვაგვარი გამოცდილება არსებობს. გადაწყვეტილების მიღებამდე, ყველა დეტალის გათვალისწინება უნდა მოხდეს: თანმდევი ფაქტორების, საქართველოს რეალობის, უცხოური გამოცდილების, საინტერესო და გასათვალისწინებელია IBRD-ის კვლევაც, ისეთ დეტალებზე როგორიცაა ფასი, რა ტიპის ავტომობილებზე დაწესდება გადასახადი და რომელი მონაკვეთები გახდება ფასიანი, გადაწყვეტილება მიღებული არ არის,“ — განმარტავს ირაკლი ქარსელაძე.

გზებზე დაწესებული გადასახადი უკვე არსებული ავტობანის მოვლა-შენახვას და ახალი საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებას მოხმარდება.

ახალი აეროპორტის, ახალი პორტის მშენებლობის და მუდმივად მზარდი ტურისტული ნაკადის ფონზე, გზებზე მოსაკრებლის დაწესებას ეთანხმება „პარტნიორობა საგზაო უსაფრთხოებისთვის“. ორგანიზაციის ხელმძღვანელი და სატრანსპორტო სფეროს ექსპერტი გელა კვაშილავა ქვეყნის სატრანზიტო ჰაბად ქცევის შემთხვევაში, საგზაო გადასახადის აუცილებლობაზე საუბრობს.

„გზის გარკვეული მონაკვეთები, რომელსაც განსაკუთრებით ხშირად იყენებენ საერთაშორისო ტრანზიტული მანქანები და დიდი ზომის გადამზიდავი ტრაილერები, იცვითება, ზიანდება და მის მოვლა-შეკეთებაში მილიონობით თანხა იხარჯება. გაფასიანების შემთხვევაში, მოსაკრებლიდან შემოსული თანხები საგზაო ფონდში აკუმულირდება, რომელიც შემდეგ ამ მიმართულებით დაიხარჯება, მოხმარდება გზების რეაბილიტაციას, უსაფრთხოებას, განვითარებას და ამაში სახელმწიფოს დამატებითი რესურსის დახარჯვა ან დონორებისგან სესხის მოზიდვა აღარ დასჭირდება,“ — ამბობს გელა კვაშილავა.

ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲐ

ᲒᲖᲔᲑᲖᲔ მოსაკრებლის დაწესება ევროპის ქვეყნებში მიღებული პრაქტიკაა, ქვეყნების ნაწილში, მაგ. იტალიაში ავტობანზე გადასახადი არა მარტო სატვირთო, შიდა მსუბუქ ავტომობილებზეც არის დაწესებული.

ევროპის ქვეყნების პრაქტიკა სხვადასხვაგვარია, თუმცა მსგავსი მოსაკრებელი ძირითადად კომერციულ სატვირთო გადამზიდავებზე ან სამგზავრო გადამყვანებზე წესდება. არსებობს პრაქტიკა, როცა გზის გარკვეული მონაკვეთი, შესაბამისი მოთხოვნებით ოპერირებისთვის კერძო კომპანიასაც გადაეცემა.

რამდენად პოპულარული ნაბიჯი იქნება გზაზე მოსაკრებლის დაწესება — საგზაო სფეროს სპეციალისტს ამაზე ცალსახა პასუხი აქვს: „იმ შემთხვევაში თუ ამოღებული თანხა ისევ გზის მოვლას, უსაფრთხოებასა და განვითარებას მოხმარდება, გზა იქნება კომფორტული, გადახდილი თანხა პროტესტს აღარ გამოიწვევს“.

ფასიანი გზების პარალელურად ქვეყანაში, ალტერნატიული უფასო გზებიც იქნება, მომხმარებელი კომფორტიდან და საკუთარი მოთხოვნიდან გამომდინარე გააკეთებს არჩევანს.

FORTUNA.GE

◎ ციკლიდან „დროის იეროგლიფები“

თეატრი თეატრში

სხვა ნატვრათა შორის ეს ორიც მიტრიალებს გულსა და გონებაში, წესითა და კანონით სანატრელი არც არაფერი რომ უნდა იყოს და კარგა ხნის წინათ უკვე მოგვარებულიც უნდა ყოფილიყო უჩემოდაც, მაგრამ ისეთ საზოგადოებრივ-კულტურულ რეალობაში გვიწევს არსებობა (ცხოვრებას ვერ იტყვი), საოცნებოდ გამხდომია:

შექმნა ორი ყაიდისა და აღნაგობის თეატრისა – პოლიტიკურისა და პოეზიის.

ერთმანეთთან რა აკავშირებთ?

სულიერი ძაფები ნამდვილად მოიძებნება მათ შორის, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს. თუნდ არც არაფერი მოეპოვებოდეთ საერთო.

რა იქნებოდა, გვქონოდა პოლიტიკური თეატრი.

რა იქნებოდა, პოეზიის თეატრი გვქონოდა.

ის პირველი: სანდრო ახმეტელის მიერ ხელდებული.

ეს მეორე: ხელდებული გალაკტიონ ტაბიძისა.

ის პირველი: სცენაზეც ხორცშესხმული.

ეს მეორე: მარტოდენ ხილვებსა და ზმანებებში მობორიალე.

თუმც ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა გამოხსნოდა ხილვებსა და ზმანებებს და ყოფით სინამდვილეშიც ეპოვა დასაყრდენი.

საამისო ნიმუშები, ერთისაც და მეორისაც, განა ჩვენს თვალწინაც არა თამაშდება, მაგრამ ეს ყოველივე ცალკეულ დადგმათა რიგს განეკუთვნება, შემთხვევიდან შემთხვევამდე ხორცშესხმულს. არადა, უნდა არსებოდეს ის გარემო, სადაც ერთიც და მეორეც სრულ ასპარეზს პოვებს და მიზანდასახულადაც დაიძვრებიან თვალსაჩინო ნაკადებად.

აღარ ვიცი, რა ვიღონო.

ჩემს სახლს ხომ არ ვაქცევ თეატრად და სუფლიორობასაც ხომ არ დავიწყებ დიმიტრი ყიფიანივით.

მსახიობობას ხომ არ მივყოფ ხელს ალექსანდრე ყაზბეგივითა და შალვა დადიანივით.

რეჟისორობას ხომ არ ვითავებ აკაკი წერეთელივით.

ამაოდ კი ვაწყდები აქეთ-იქით და გამოსავალი ვერ მიპოვია ასერიგად მნიშვნელოვან წამოწყებათათვის: როგორც ჩვენი კულტურის, ისე სახელმწიფოებრიობისათვის

არსში ეს ერთსა და იმავეს გულისხმობს, კაცმა რომ თქვას, ერთი მეორის განმსაზღვრელს, მაგრამ ნიუანსობრივად დაე მაინც განვასხვავოთ.

პოლიტიკური თეატრის დაარსებას თითქოს რაღაც სასიკეთო დაეტყო და შესაძლოა, სოსო ნემსაძის წყალობით გორში – გიორგი ერისთავის სამკვიდროში – დაფუძნებულიყო, მაგრამ ისე მოხდებოდა, რომ გორის თეატრის მთავარი რეჟისორი რუსთავის თეატრს ჩაუდგებოდა სათავეში, იქ კი საამისო პერსპექტივა როგორღაც გაფერმკრთალდებოდა, პირწმინდად თუ არ გაქრებოდა.

და აი სასიკეთო ნიშნები გამოიკვეთა პოეზიის თეატრის დასაარსებლად:

ეს უკვე თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრში და მისი სამხატვრო ხელმძღვანელის დიმიტრი ხვთისიაშვილის წყალობით:

დაიდგა ელგუჯა მარღიას რობაიების ქარგაზე შექმნილი სცენარი იოსებ ჭუმბურიძისა „ომარ ხაიამ, შეიწყალე ჩემი რობაი“, და დაიდგა ისე, პოეზიის თეატრს რომ შეშვენის და ეკადრება.

ოღონდ მთავარია:

ეს სპექტაკლი იყოს არა გამონაკლისი, შემთხვევიდან შემთხვევამდეთა შორის მოქცეული, არამედ გალაკტიონის თეატრალური ოცნების დასაწყისი.

არადა: პერსპექტივა საგულისხმოდ გადაშლილა ამ წარმატებული დადგმის გამოისობით, ასე თვალნათლივ რომ ადასტურებს იოსებ ჭუმბურიძის რეცენზია, უფრო კი ესეი: „ელგუჯა მარღიას დოქში ჩიტი ზის... რამ გაგვაკვირვოს?“ – გამოქვეყნებული ჩვენი კულტურისთვის ასერიგად თავგამოდებული გაზეთის – „საქართველოს რესპუბლიკა“ – ფურცლებზე (2018, 9 ივნისი).

ბარე ორი თეატრმცოდნე ვერ დაუდგება გვერდით იოსებ ჭუმბურიძეს: ვერც ერუდიციით და თეატრალური ყოფის ნიუანსების ცოდნით, ვერც მიუკერძოებლობითა და ვერც გულშემატკივრობით, აღარაფერს ვამბობ მის სტილურ არტისტიზმზე, ამასთან ლაკონიზმის იმ იშვიათ უნარზე, მცირე ფარგალში ბევრის თქმას რომ ასწრებს ხოლმე და ამჯერადაც პატარა სტატიაში არავის დატოვებდა გულნაკლულს შემოქმედებითი ჯგუფიდან, დიმიტრი ხვთისიაშვილის მიერ მარჯვედ შეკრული გუნდიდან.

სრულ შთაბეჭდილებას რომ შეუქმნიდა მკითხველს პრემიერის წარმატებაზე და ამ ყაიდის სპექტაკლების პერსპექტივაზე, ეს თავისთავად.

მისი შენიშვნებიც, უფრო კი სურვილები, უთუოდ გასაზიარებელია დადგმის სრულყოფილებისათვის.

ესთეტიკურადაც მომხიბლავია „ომარ ხაიამ, შეიწყალე ჩემი რობაი“.

და საგანმანათლებლო დანიშნულებაც უსათუოდ ექნება, მთავარია, ახალგაზრდებმა ნახონ, მსახიობებს კი თამაში არ მობეზრდებათ, ისე არიან მორგებული იმ სულიერ დოქს, რომელშიც ღვინო კი არ ასხია, ჩიტი ფრთხიალებს და ჭიკჭიკებს.

და ასეთივე მომხიბლავი უნდა იყოს ესთეტიკურად და საგანმანათლებლო დანიშნულებისაც – და უეჭველად იქნება კიდეც – ის ახალი სპექტაკლი, ელგუჯა მარღიას რობაიების ჩინებულ სცენურ ხორცშესხმას რომ ამოუდგება გვერდით.

სხვაგვარად ანკი როგორ, თუკი პოეზიის თეატრის ჩანასახს ვხედავთ ამ დადგმაში.

საამისოდ კი რეჟისორს დიდი რამ ძებნა-ჩხრეკა არ დასჭირდება, რადგანაც არსებობს იოსებ ჭუმბურიძის „ცხადის ნაპირთან (ცხოვრება და სიკვდილი მეფე-პოეტისა)“, რომლის მთავარი გმირიც... გალაკტიონ ტაბიძეა.

ეს დრამატურგიული თხზულება კი არის არა ლიტერატურული მონტაჟი, არამედ – თუკი რაიმე გამეგება დრამატურგიისა – სრულფასოვანი და ჩინებული პიესა, რომელიც თავისუფლად შეიძლება დაიდგას – თუკი რეჟისორებს გონიერება ეყოფათ – რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრების სცენაზეც, და მოზარდ მაყურებელთა თეატრის დიდ სცენაზეც, მაგრამ სწორედაც აქ მირჩევნია, ამ მცირე სცენაზე, უკვე რომ გამოიკვეთება პოეზიის თეატრის კონტურები და ძალდაუტანებლად დაისაჭიროებს მესამე ნიმუშსაც, მეოთხესაც, მეხუთესაც...

ჯერ იქნება როგორც: თეატრი თეატრში.

მერე უკვე დამოუკიდებელ სიცოცხლესაც რომ დაიწყებს, რადგანაც ლიტერატურული მონტაჟები თუ პიესები არ მოაკლდება პოეზიის თეატრს პოეზიის ქვეყანაში.

* * *

ნუთუ ამდენად აღარ გვიყვარს და აღარ გვიღირს გალაკტიონი, ეს ოცნება არ ავუხდინოთ?!.

დაე მის სახელზე ესეც გვქონდეს: პოეზიის თეატრი.

როსტომ ჩხეიძე

◎ სამეცნიერო ფორუმი

უძველესი ქართული ხელნაწერები: „ჩვენთა მომავალთა ნათესავთათვის“...

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს წლეულს დაარსებიდან 60 წელი შეუსრულდა. ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში 28 ივნისს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქართული ხელნაწერი მემკვიდრეობა“ გაიხსნა.

უძველეს ქართულ წერილობით წყაროთა შემსწავლელ სამამულო მკვლევართა და უცხოელ ქართველოლოგთა წარმომადგენლობითი ფორუმი (ამ დღეებში ხელნაწერთა ცენტრი სტუმრებს ინგლისიდან, ავსტრიიდან, გერმანიიდან, რუსეთიდან, პოლონეთიდან, საბერძნეთიდან, იტალიიდან, იაპონიიდან, ირანიდან და სომხეთიდან მასპინძლობს) შესავალი სიტყვით გახსნა ცენტრის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ **მაია რაფავამ**.

– საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, ჩვენ, ქართველი მეცნიერები, საუკუნეთა სიღრმიდან მოღწეულ, წინაპართაგან ანდერძით „ჩვენთა მომავალთა ნათესავთათვის“ დატოვებულ უძველეს ძეგლებს შევისწავლით, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც ერის ისტორიის გარკვევის, ასევე მისი კულტურული შემოქმედების შესწავლის მხრივ, – აღნიშნა ქალბატონმა მაია რაფავამ. – ამიტომ ჩვენი ვალია, თვალისჩინივით მოვუფრთხილდეთ მათ, რუდუნებით ვიკვლიოთ ისინი და ჩვენი სახელოვანი მეცნიერების – კორნელი კეკელიძის, ექვთიმე თაყაიშვილის, ილია აბულაძის და სხვათა დარად ვიღვაწოთ მათ შესწავლა-გასააზრებლად. ათწლეულების მანძილზე, თავდაპირველად საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტის, შემდგომ კი ცენტრის მეცნიერთანამშრომლებმა, უკიდეგანო სიყვარულით – ისეთით, როგორიც უძველეს ძეგლებს შეშვენით, პირნათლად შეასრულეს მათზე დაკისრებული დიდი ეროვნული მისია, რისი უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება. ეს, უწინარესად, საქართველოს სახის, მისი იდენტურობის წარმოჩენაა მსოფლიოს წინაშე.

ამასთან, უფლება არა მაქვს, დიდი გულისტკივილი არ გამოვთქვა და ხმამაღლა არ განვაცხადო ის წუხილი, რაც უძველეს ხელნაწერთა შენახვას ეხება. აგერ უკვე ათწლეულია, რაც ეროვნულ ცენტრს მისთვის შესაფერისი შენობა არა აქვს, დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან მოყოლებული კი საქართველოში არც ერთმა მთავრობამ სათანადოდ არ იზრუნა ამ უდიდესი ხარვეზის გამოსწორებაზე. არადა, ჩვენ რომ ამ მხრივ საგანძური გაგვაჩნია, ბევრი ერი ნამდვილად ვერ დაიტრაბახებს, თუმცა კი, ამის მიუხედავად, დღესდღეობითაც ეროვნულ ბიბლიოთეკას ვართ შეხიზნულები...

უდიდესი მადლობა მინდა, გადავუხადო ქართულ ხელნაწერთა შემდგენელთ, გადამწერთ და, საერთოდ, ყველას, ვისაც თუნდაც მისხალი ღვაწლი აქვს მათ დღევანდლამდე ჩვენამდე მოტანაში.

სამეცნიერო ფორუმის მონაწილეების მიმართ მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს **მეუფე შიომ,** რომელმაც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის მისალოცი გადასცა კონფერენციის ორგანიზატორებს, მეცნიერებსა და განათლების სამინისტროს წარმომადგენლებმა **ნუგზარ ჩიტაიამ** – მან დიდი იმედი გამოთქვა, რომ მომავალ იუბილეს ხელნაწერთა ცენტრი უკვე საკუთარ შენობაში შეხვდება. ფრანგმა ენათმეცნიერმა **ბერნარ უტიემ** ხელნაწერთა ცენტრთან თავისი თანამშრომლობის ისტორია გაიხსნა, ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების კვლევის ეროვნული ცენტრის წარმომადგენელმა **მარიამ დიდებულიძემ** ეროვნული საგანძურის კვლევის ამ ორი უმნიშვნელოვანესი კერის ურთიერთთანამშრომლობასა და საქმიანობის მნიშვნელობაზე ილაპარაკა, აკადემიკოსმა **მანანა მელიქიშვილმა** კი იმედი გამოთქვა, რომ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი მომავალში ბინას მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძრის მიმდებარედ დაიდებს, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ექნება მათი პოპულარიზაციისთვის და ხელს შეუწყობს შემდგომ სამეცნიერო მოღვაწეობას.

დამსწრე საზოგადოებას გულთბილი სიტყვებით მიმართეს ასევე ხელნაწერთა ცენტრის ერთ-ერთმა ღვაწლმოსილმა მეცნიერმა **მიხეილ ქანთარიამ,** მკვლევარმა **ნელი მახარაძემ,** იაპონელმა ქართველოლოგმა **ჰირატოკე მაედამ**.

შემდგომ საერთაშორისო კონფერენციის მონაწილენი დაანონსებული პროგრამით მუშაობას შეუდგნენ. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სამდღიანი სამეცნიერო ფორუმის მონაწილეთ, ასევე ყველა მსურველს, კონფერენციის დასრულების შემდგომ, 30 ივნისს, ალექსიძის ქუჩის №1/13-ში, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დაარსებიდან 60 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენის „ჩვენი მეხსიერების“ დათვალიერება შეეძლებათ.

ოთარ ტურაბელიძე

რა ხანია, დაინგრა საბჭოთა კავშირი, საქართველო უკვე დამოუკიდებელი ქვეყანაა. რაც დრო გადის, სულ უფრო ბუნდოვანდება XX საუკუნის 50-იანი წლების მარტოხელა გმირთა ბრძოლის ბევრი ფაქტი საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ, ფერმკრთალდება მათი სახეები.

ერი უნდა იცნობდეს მათ, ეს საშურია, რათა მჭადიდან ნახშირი გამოვარჩიოთ: არიან გმირები და არიან ცრუგმირები, რომლებიც დროდადრო ისტორიის მოსახვევებიდან თავს ყოფენ და „ანტისაბჭოთა მებრძოლების“ იარლიყს იწებებენ.

„სჯობს, უცხოელის მიენდო მტრობას...

1. აფეთქებები, რომლებმაც დააშინა რეჟიმი

პირველი ქართველი „ანტისაბჭოთა ელემენტი“, ვინც კომუნისტური რეჟიმი უკიდურესად შეაშფოთა და დააშინა, **ვალიკო (ვალერიან) ჟვანია** იყო. მან თვითნაკეთი ბომბებით სამი აფეთქება მოაწყო – სოხუმში, ბათუმსა და თბილისში. ბომბმა საქართველოს მთავრობის სასახლის გარე კიბესთან, ზედ საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ადგილსამყოფელის ყურისძირში იგრიალა. სამწუხაროდ, სოხუმში, სანაპიროზე, ნაგვის ურნაში ჩადებული ბომბის აფეთქებას მსხვერპლი მოჰყვა, რუსი დამსვენებელი ცოლ-ქმრის სახით – კაცი დაიღუპა, ქალი – დასახიჩრდა.

ეს აფეთქებები წინ უსწრებდა ვინმე სომეხი ნაციონალისტის მიერ მოსკოვის მეტროში განხორციელებულ ტერაქტს, რომელსაც რამდენიმე ათეული ადამიანის მსხვერპლი მოჰყვა.

საქართველოში მომხდარი აფეთქებები „უცხო ხილი“ იყო საკავშირო სუკისთვის, ამიტომ მას დიდი რეზონანსი ჰქონდა. მოსკოვიდან თბილისში, ძიებაში დასახმარებლად, მოავლინეს 50-მდე ოფიცერი, დამნაშავეს ეძებდნენ მთელი სსრკ-ის უშიშროების და შინაგან საქმეთა სამსახურის მუშაკები. შეიქმნა ოპერატიული შტაბი, სადაც გროვდებოდა მთელი მოპოვებული მასალა.

საქმე მხოლოდ სამი-ოთხი თვის შემდეგ გაიხსნა. აღმოჩნდა, რომ რესპუბლიკაში მცხოვრებ ზოგიერთ მდიდარ ადამიანს – „ცეხავიკს“ ტელეფონით დაურეკა „საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის წარმომადგენელმა“ და შეატყობინა, რომ აფეთქებები ჩაიდინა ამ „განმათავისუფლებელმა კომიტეტმა“ და რომ მას სჭირდება დაფინანსება შემდგომი წარმატებული მუშაობისთვის (ზოგიერთ ადრესატს ანალოგიური შინაარსის წერილი გაეგზავნა). ერთ-ერთმა ბათუმელმა პიროვნებამ, რომელსაც დაურეკეს თანხის გადახდის თხოვნით, ამის შესახებ უშიშროებას აცნობა. ბათუმში უმალ აფრინეს სუკის ოპერატიულ-ტექნიკური განყოფილება, საიდუმლო მოსმენის უახლესი ტექნიკით აღჭურვილი.

ასე აღმოაჩინეს „საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის წარმომადგენელი“ ვალიკო (ვალერიან) ჟვანია. იგი 1975 წლის 15 მაისს დააკავეს ბათუმში.

ამ კაცს არავითარი სპეციალური ტექნიკური განათლება არ ჰქონდა, მაგრამ შესანიშნავად ამზადებდა თვითნაკეთ დისტანციური მოქმედების ასაფეთქებელ მოწყობილობებს (საქართველოს უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის ა. ინაურის კაბინეტში ჩატარებული ოპერატიული ექსპერიმენტის დროს მან 34-35 წუთში დაამზადა ასაფეთქებლად გამზადებული ბომბი.

სასამართლოზე თავის დაძვრენა არ უცდია, პირიქით, ფაქტობრივად, თავის თავს თვითონ გამოუტანა განაჩენი, პირდაპირ განაცხადა: **„მე ამოვწურე ჩემი რესურსები საბჭოთა ბოლშევიკური მთავრობის დამხობის საქმეში. მე მეზიზღება ეს დიქტატურა, ვერავითარ განსხვავებას ვერ ვხედავ ფაშიზმსა და კომუნისტურ იდეოლოგიას შორის. ორივე დამღუპველია კაცობრიობის განვითარებისათვის. ამიტომ არავითარი აზრი არა აქვს, რას მომისჯით. ერთი მინდა, იცოდეთ, სანამ ცოცხალი ვარ, ყოველთვის ვიბრძოლებ ამ რეჟიმის წინააღმდეგ, მისი დამხობისთვის. აზრი არა აქვს როდის გამოვალ ციხიდან, მე ჩემს აზრს არ შევიცვლი და უკანასკნელ წვეთამდე შევებრძოლები ბოლშევიკურ დიქტატურას“.**

ვალიკო ჟვანიას დახვრეტა მიუსაჯეს, მაშინ ის 40 წლისაც არ იყო.

ვალიკო ჟვანია დაიბადა და გაიზარდა თბილისში, ორთაჭალაში. იგი ტრაგიკული პიროვნება გახლდათ, მამა – ქართული დივიზიის პოლკის უფროსი, 1937 წელს დახვრიტეს, როცა ვალიკო 2 წლისა იყო. შემდეგში მისთვის არავის ეცალა და აღზრდითაც არავინ დაინტერესებულა. დამთავრა ყოფილი 29-ე სკოლის შვიდწლედი (სკოლა მიატოვა და თვითგანათლებას შეუდგა). ჰყავდა დედა, ძმა (1970-იან წლებში დოცენტად მუშაობდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში) და უფროსი და, რომელიც გაგრაში გათხოვდა. ვალიკო უაღრესად ნიჭიერი ბიჭი იყო. თვითონ შეისწავლა უმაღლესი მათემატიკა, მანქანათმშენებლობა, ხაზვა, კარტოგრაფია, რამდენიმე უცხო ენა. მიუხედავად იმისა, რომ მხედველობა ძალიან დაქვეითებული ჰქონდა, უყვარდა კითხვა, შესანიშნავად იცოდა ისტორია, გეოგრაფია, ლიტერატურა.

იყო თავის თავში ჩაკეტილი, უთქმელი, დინჯი, წყნარი კაცი. სცადა თურქეთის საზღვარზე გადაპარვა. დააპატიმრეს, ჯერ დააპირეს „გიჟად“ გამოეცხადებინათ, ორი თვე ფსიქიატრიულ საავადმყოფოშიც კი ამყოფეს, შემდეგ სამი წელი მიუსაჯეს, სასჯელს ჩიტას ოლქში იხდიდა. გადასახლებიდან გაიპარა, დაიჭირეს და 5 წელი დაუმატეს, გადაასახლეს უფრო შორს. ორჯერ კიდევ სცადა გაპარვა. კიდევ დაუმატეს პატიმრობის 3 თუ 4 წელი, ამრიგად 3-წელმისჯილმა პატიმარმა თანდათან 12-13 წელი მოიხადა. ციხიდან გამოვიდა მხოლოდ 70-იანი წლების შუახანებში, მაშინ ჩაიდინა ტერორისტული აქტები...

მეთოდმა, რომელიც ვალიკო ჟვანიამ საბრძოლველად აირჩია, ადამიანის სიკვდილი გამოიწვია. იგი ისტორიაში შევიდა, როგორც მარტოხელა ფანატიკოსი ტერორისტი და არა, როგორც საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი.

2. „ბურლაკები“

პირველად 1956 წლის მაისში უნივერსიტეტისა და სტუდქალაქის ტერიტორიაზე გავრცელდა ანტისაბჭოთა ფურცლები „სამართლიანობისათვის“ – „ხალხის კეთილდღეობისათვის მებრძოლთა ორგანო №2“.

იმავე 1956 წლის ნოემბრის დღესასწაულის წინა დღეებში აღმოაჩინეს იმავე შრიფტით აწყობილი პროკლამაცია: „პროლეტარებო ჩვენი ქვეყნისა, შეერთდით! 7 ნოემბერს – არც ერთი დემონსტრაციაზე!“

1957 წლის ივნისში დედაქალაქის ცენტრში მიაკვლიეს თვითნაკეთ ბეჭდურ ბროშურას „სალაღობელი“ – „ხალხის კეთილდღეობისთვის მებრძოლთა ორგანო №7, სვანეთი“. ფურცელზე მოთავსებული იყო ანტისაბჭოთა შინაარსის ლექსები და რუსი მხატვრის ი. რეპინის ცნობილი სურათი „ბურლაკები ვოლგაზე“ წარწერით – **„დიდი ხანია, საბჭოთა ხალხი ამგვარად ეზიდება მუდმივ ჭაპანს, მაგრამ დასასრული არ ჩანს. როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე?“**

„სჯობს, უცხოელის მიენდო მტრობას და ნუ ენდობი ნიკიტას ნათქვამს, ებრძოლე სუფრულ პატრიოტობას თუკი სინდისი გაწუხებს მართლა. შრომით განკურნავ მრავალ ჭრილობას, ლახვარი ჩაეც შავბნელ პარტიას რადგანაც იმის დროშაზე მხოლოდ სიბოროტე და ტანჯვა ხატია“ და ა.შ.

გადის კიდევ ორი თვე, 1957 წლის აგვისტოს ბოლოს ქუთაისიდან საქართველოს მწერალთა კავშირის მისამართით ორი ცისფერი კონვერტი მოდის. ადრესატები არიან პოეტები გალაკტიონ ტაბიძე და გოგლა ლეონიძე, მაგრამ წერილები პოეტებამდე ვერ აღწევს – სხვები ხსნიან, მათში თითო „სალაღობელია“...

სუკში კვლავ იმართება ოპერატიული თათბირი. უკვე არის რაღაც ძაფი – კონვერტებზე მისამართი ხელით წერია...

დიახ, ეს მართლაც საბედისწერო შეცდომა აღმოჩნდა.

და მთელი ძალით ამოქმედდა სუკის უზარმაზარი მძლავრი მექანიზმი...

საქმე №4642

სამი სქელი ტომი გრიფით „შეინახოს მუდმივად“. 724 ფურცელი, დაწყებულია 1958 წლის 14 იანვარს, დამთავრებულია 1958 წ. 10 მარტს.

ბრალად ედებოდათ: არალეგალური სტამბის შექმნა, ანტისაბჭოთა ფურცლებისა და ბროშურების დამზადება და გავრცელება.

ძიება იყო მკაცრი და სკრუპულოზური, იგი ძირითადად ოთხი მიმართულებით მიმდინარეობდა: რამდენი კაცისგან შედგებოდა „ხალხის კეთიდღეობისთვის მებრძოლთა“ ორგანიზაცია და ვინ იცოდა მისი არსებობა?

სულ რამდენი ნომერი ანტისაბჭოთა ფურცელი და ბროშურა გამოუშვეს (მიკვლეული იყო მხოლოდ №2 პროკლამაცია, №7 ბროშურა და ერთი საშვიდნოემბრო მოწოდება)?

კიდევ რა ანტისაბჭოთა საქმიანობას ეწეოდნენ?

სად და როგორ იშოვეს არალეგალური სტამბისთვის შრიფტი და სხვა მოწყობილობა?

ძიებამ დაადგინა:

ორგანიზაცია მხოლოდ ორი მეგობრის – იროდი ფაჩულიასა და გივი ბარამიძისგან შედგებოდა და მისი არსებობა უახლოესმა ადამიანებმაც არ იცოდნენ.

გამოსცეს მხოლოდ ის, რაც იპოვეს. „სვანეთი“ შთაბეჭდილების გასაძლიერებლად დააწერეს;

სხვა ანტისაბჭოთა ქმედება არ ჩაუდენიათ;

იროდი ფაჩულია



გივი ბარამიძე



პატრიოტებო ჩვენი ქვეყნისა
შ ე ე რ თ დ ი თ!
7–ნოემბერს არცერთი
დემონსტრაციაზე!

იროდი ფაჩულიას და გივი ბარამიძის მიერ დაბეჭდილი და გავრცელებული პროკლამაცია

შრიფტი ი. ფაჩულიამ ჩუმად გამოიტანა ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის საბეჭდი საამქროდან, ფურცლებს ბეჭავდნენ მისივე სახლის სხვენზე.

მეგობრები ვაჟკაცურად ცდილობდნენ ერთმანეთის დაცვას როგორც ძიებისას, ისე სასამართლოზე.

ამონაწერი 1958 წლის 26 მარტის დახურული სამსჯავრო სხდომის ოქმიდან:

„ი. ფაჩულია – ფურცლების ბეჭდვის საკითხი პირველმა მე წამოვჭერი;

გ. ბარამიძე – ფაჩულიამ რატომღაც მეტი პასუხისმგებლობა აიღო თავის თავზე. ჩვენ ერთნაირად უნდა ვაგოთ პასუხი, რადგან ორივემ მოვილაპარაკეთ ამ საქმეზე. ჩემ გარეშე ფაჩულია არაფერს აკეთებდა, ხოლო მე სავსებით ვიზიარებდი მის იდეებს“.

მიიღეს კიდეც თანაბრად: 8-8 წელი და სასჯელის მოხდის შემდეგ საარჩევნო ხმის უფლების 3-3 წლით ჩამორთმევა“.

შეუფარავად, აშკარად, ლამაზად გაცხადეს მიზეზიც, რამაც ისინი ანტისაბჭოთა მოქმედებამდე მიიყვანა: **„ჩვენი ეს გადაწყვეტილება აღმოცენდა 1956 წლის 9 მარტს, როცა უდანაშაულო ხალხის მიმართ ცეცხლსასროლი იარაღი იხმარეს. ეს მოქმედება ჩავთვალეთ ქართველი ხალხის ეროვნულ ჩაგვრად, ჩვენი სამშობლოს ფეხქვეშ გათელვად“.**

მისამართი: მორდვეთის ასსრ. ზუბოვ-პოლიანსკის რაიონი, პოლიტპატიმართა ბანაკი, საფოსტო ყუთი 385-7.

სამშობლოში კი ქალების ამარა, ულუკმაპუროდ დარჩენილი ოჯახები, მცირეწლოვანი ბავშვები.

1960 წლის 16 მაისს საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმმა ი. ფაჩულიასა და გ. ბარამიძეს 8-8-წლიანი სასჯელი, „როგორც გადაჭარბებით მკაცრი“, 5-5 წლამდე დაუყვანა.

გათავისუფლდნენ 1963 წლის იანვარში.

გივი ბარამიძე 1990 წელს გარდაიცვალა, ნატანჯმა გულმა უღალატა, 60 წლი-

ІРОДІОН ЛЕВАНІСЬ ДЕ ФАЧУЛІЯ – დაბადებული 1922 წელს ცხაკაიას რაიონის სოფელ ხორშში. ქართველი, უპარტიო, უმაღლესი განათლებით, თეატრმცოდნე, 1950 წელს დაამთავრა თბილისის თეატრალური ინსტიტუტი, ნასამართლევი არ ყოფილა. თბილისის სომხური დრამის თეატრის მთავარი ადმინისტრატორი. ცოლშვილიანი. ჰყავს 9 და 4 წლის ვაჟები, მცხოვრები თბილისში, ბოჭორიშვილის ქ. №45.

ГИВИ ИАСОНІСЬ ДЕ БАРАМІДЕ – დაბადებული 1929 წელს, ლანჩხუთის რაიონის სოფელ ლესაში. ქართველი, უპარტიო. უმაღლესი განათლებით. თეატრმცოდნე. 1953 წელს დაამთავრა თბილისის თეატრალური ინსტიტუტი, ნასამართლევი არ ყოფილა. კულტურის სამინისტროს კინემატოგრაფიის სამმართველოს სარეკლამო ჯგუფის დირექტორის მოადგილე. ცოლშვილიანი, ჰყავს 4 წლის ვაჟი. მცხოვრები თბილისში, ხოდაშნის ქ. №12.

„ლაჩვარი ჩაეც შავბნელ პარტიას!“

რუსუდან ჩირაძე.

რუსუდანს, ანტისაბჭოთა საქმიანობისათვის 50-იანი წლების ბოლოს გასამართლებულებთან შედარებით, რატომღაც ყველაზე მკაცრი სასჯელი შეუფარდეს — 10 წელი და, როგორც იტყვიან, ზარიდან ზარამდე მოახდევინეს, გაათავისუფლეს 1967 წელს.

მის სამ 16-17 წლის მოსწავლეს 3-4 წლით პატიმრობა მიუსაჯეს, მათგან ორი ებრაელი ჭაბუკი შემდეგ, 1970 წლის დასაწყისში, ემიგრაციაში წავიდა, ქართველ ებრაელთა პირველ ნაკადთან ერთად.

რაში დასდეს ბრალი პედაგოგსა და მის მოსწავლეებს, ასეთი სასტიკი სასჯელისათვის რატომ გაიმეტეს? ისინი ამხილეს... ანტისაბჭოთა ლექსების შეთხზვასა და საჯაროდ კითხვაში!

ამ პატიმრობამ მთლიანად დაანგრია და გააუბედურა მრავალმხრივ განათლებული, უაღრესად ნიჭიერი, ერუდირებული ქალიშვილის რუსუდან ჩირაძის ცხოვრება. გათავისუფლების შემდეგ დედასთან ერთად ცხოვრობდა დიღომში, ერთოთახიან ბინაში, დუხჭირად, უკიდურეს სიღატაკეში. ეცვა უბადრუკად. ასაკით ჯერ კიდევ ახალგაზრდა, 40 წელს მიუღწეველი ქალი სულიერად დავრდომილი და საშინლად დაშინებული, მოდუნებული, ჩამქრალი იყო. ლაპარაკობდა ხმადაბლა, მორიდებით, არასდროს არავის არაფერში ეკამათებოდა, ტოვებდა სულიერი ავადმყოფის შთაბეჭდილებას.

მთავარი ის არის, რომ ამ ქალბატონს პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგაც არ მოჰკლებია სუკის ყველგანმწვდომი, ყოვლისმხილველი თვალი. 1970-იანი წლების ბოლოს სუკმა ვინმე სულგაყიდულისგან შეიტყო, რუსუდან ჩირაძეს ანტისაბჭოთა შინაარსის რომანი დაუწერიაო და დაფაცურდა. იმის შეტყობა, თუ რა დაწერა ანტისაბჭოთა საქმიანობაში ერთხელ უკვე მსჯავრდებულმა ქალმა, დაევალა სუკის საკმაოდ მაღალი თანამდებობის ოფიცერს **ჯემალ ფოცხვერიას,** რომელმაც მოახერხა ეჭვმიტანილის ნდობის მოპოვება, მისი თანხმობით წაიკითხა ის 350-400-გვერდიანი ხელნაწერი რომანი და ეყო პატიოსნება დაეწერა დასკვნა, რომ რუსუდან ჩირაძის ნაშრომი საბჭოთა ხელისუფლებისათვის არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენდა, რამაც დაამშვიდა როგორც რესპუბლიკის, ისე საკავშირო უშიშროების კომიტეტის ხელმძღვანელობა და ისედაც გაუბედურებულ, სასიკვდილოდ დაშინებულ ქალს ერთხელ და სამუდამოდ ჩამოაშორა ამ მრისხანე ორგანიზაციის ზედამხედველობა.

2008 წელს ბატონმა ჯემალ ფოცხვერიამ გამოსცა წიგნი „შავი სათვალე ეკეთა — ჩეკისტის ჩანაწერები“, რომელშიც პირუთვნელად და თანაგრძნობით აღწერა ქალბატონ რ. ჩირაძის ფათერაკები.

ღმერთმა იცის, სუკის ბადეში რომ არ მოხვედრილიყო, როგორ წარიმართებოდა ამ არაორდინარული ქალბატონის ცხოვრება, რა მოქალაქე და შემოქმედი დაკარგა მისი სახით საქართველომ. არასოდეს სიტყვა არ დაუძრავს თავის თავზე. არადა, რამდენი თვითმარქვია იჩემებს და თითებიდან იწოვს თავის „დამსახურებას“ ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში!“

4. თავგანწირვა

საკავშირო მთავრობისა და კომუნისტური პარტიის ერთობლივი საიდუმლო გადაწყვეტილებით 1958 წლის შემოდგომაზე გაუქმდა ეროვნული ისტორიის სწავლება ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლეს სკოლებში. 1959 წელს გამოსცეს „საბჭოთა კავშირის ხალხთა ისტორიის“ სახელმძღვანელო, სადაც თითოეულ რესპუბლიკას 57-58 გვერდი ჰქონდა დათმობილი, ე.ი. სულ 4-5 აკადემიური საათი.

ამ ღონისძიებამ, ფაქტობრივად, უხმაუროდ ჩაიარა, იმ უკიდეგანო საბჭოთა კავშირში არავის საპროტესტოდ კრინტიც არ დაუძრავს. ერთადერთი რესპუბლიკა, სადაც ამას გარკვეული წინააღმდეგობა გაუწიეს, საქართველო იყო. მშობლიური ისტორიის სწავლების გაუქმების წინააღმდეგ ხმა აღიმაღლა მხოლოდ თბილისის ერთერთი სკოლის პედაგოგმა **კობახიძემ**. იგი ორჯერ შეუვარდა განათლების სამინისტროს კოლეგიას, როგორ თანხმდებით საქართველოს ისტორიის სწავლების გაუქმებასო, სულ ლაჩრები და ერის ინტერესების გამყიდველები უძახა მათ.

უშიშროების კომიტეტში არსებული მასალებიდან ჩანს, თითქოს მან დებოში მოაწყო, დაარბია იქაურობა, შეურაცხმყოფელი სიტყვებით და „დამამცირებელი რეპლიკებით“ თავზარი დასცა სამინისტროს კოლეგიის ისედაც დაბნეულ წევრებს, „სამელნე ესროლა მინისტრს და დაუსვარა გაქათქათებული კოსტიუმი და სხეულისთვის ნაკლებად მძიმე ზიანი მიაყენა“ (ეს სათანადო სამედიცინო ცნობით იყო დადასტურებული, რომელიც დაზარალებულ მინისტრს ცეკას სამედიცინო სამსახურის მე-4 სამმართველოში აუღია).

გამოძახებულ მილიციას „დებოშიორი“ წვრილმანი ხულიგნობის მუხლით დაუკავებია და 15 დღით პატიმრობა მიუსჯია. თუმცა შემდეგში კოლეგიის წევრებს და მინისტრს ჰუმანურობა გამოუჩენიათ და თხოვნით მიუმართავთ შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის, რომ ვადაზე ადრე გაეთავისუფლებინათ პედაგოგი, რომელმაც მართალია, „შეარცხვინა პედაგოგის სახელი, მაგრამ ეს გადაჭარბებული აღელვების, აფექტის მდგომარეობაში ჩაიდინა“, თითქოსდა, მათი მონაცემებით, „ცოტა ნასვამიც ყოფილა“.

ახლა ძნელია განსჯა, რა იყო იმ ბრალდებაში მართალი, ის კი უტყუარია, რომ განათლების სამინისტროს მუშაკებმა, რომლებიც მშვენივრად ხვდებოდნენ, თუ რა უსამართლო და დამამცირებელი იყო საკავშირო ცკ-სა და მთავრობის დადგენილება ეროვნული ისტორიების სწავლების გაუქმების თაობაზე, თანაც, ალბათ, გულში აღფრთოვანებულიც იყვნენ პედაგოგ კობახიძის თავგანწირვით, სინდისი მოიწმინდეს და პატიმრისთვის პატიება ითხოვეს.

პატიებით კი „აპატიეს“ „ხულიგანს“, მაგრამ სამსახურიდან დაითხოვეს და საერთოდ აუკრძალეს პედაგოგიური მოღვაწეობა, ალბათ, სუკის „ჩაწოდებით“. კობახიძე ერთი წელი ამაოდ ცდილობდა სამსახურში აღდგენას, მაგრამ სულით არ დაცემულა, საოცარი ნებისყოფა გამოიჩინა და... თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში ჩააბარა გამოცდები (არ დაგავიწყდეთ, ეს ხდება 1960-იანი წლების დასაწყისში, როცა სამედიცინო ინსტიტუტში ჩაბარება საოცრად იყო გართულებული), დაამთავრა მისი სრული კურსი და შემდეგ, ექიმად ემსახურებოდა ხალხს. 60-იანი წლების ბოლოს თითქმის ჩამოშორდა ანტისაბჭოთა მოღვაწეობას, ზრდიდა ორ შვილს, ცხოვრობდა თბილისურ ეზოში...

რამდენი ასეთი ჩუმი გმირი იყო ჩვენ გვერდით...

ძმები გიორგი და ამირან ფიცხელაურები.



გიორგი და მიხეილ ფიცხელაურების არალეგალურ სტამბაში დაბეჭდილი და გავრცელებული პროკლამაცია.

5. დისიდენტი პერსონალური პენსიონერი

ჩვენ დიაღაც გვყავდნენ მამულიშვილები, რომლებმაც შეგნებულად ჩაიგდეს თავი ხიფათში და სინდისის კარნახით შეებრძოლნენ საბჭოთა ტოტალიტალურ რეჟიმს.

მთავრობის საწინააღმდეგო პირველი ხელნაწერი ფურცლები 1956 წლის დემონსტრაციებისა და მანიფესტაციების დღეებში გამოჩნდა. ამას მოჰყვა დაბეჭდილი პროკლამაციები, რომლებშიც დაგმობილი იყო საბჭოთა ხელისუფლება, ავტორები ხალხს მოუწოდებდნენ, ებრძოლათ საქართველოს დამოუკიდებლობისთვის.

საკავშირო მნიშვნელობის პერსონალურმა პენსიონერმა **პეტრე მეუნარგიამ** „გათავისუფლების კომიტეტის“ ხელმოწერით 9 ანტისაბჭოთა ბიულეტენი შეადგინა და სხვადასხვა დაწესებულებას, ორგანიზაციასა და პიროვნებას დაუგზავნა.

პეტრე მეუნარგია

მიხეილ ყიფიანი

იგი ძალზე საინტერესო ბიოგრაფიის კაცი იყო, დაიბადა 1888 წელს ხობში, 1905 წ. ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იყო პოლიტსამმართველოს თანამშრომელი, სახბანკის მმართველი, ხობის რაიაღმასკომის თავმჯდომარე, წითელი ჯვრის რესპუბლიკური პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე, შინსახკომის მუშაკი, საქართველოს უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე, 1944 წლიდან საკავშირო პერსონალური პენსიონერი. გარდაიცვალა 1976 წ.

საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ 1956 წ. 12 ივლისს 68 წლის პეტრე მეუნარგიას 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. იჯდა მორდვეთის ასსრ დაბა იავასის „დუბროვლაგის“ ბანაკში.

ანტისაბჭოთა მუშაობა არც გადასახლებაში შეუწყვეტია, 9 მარტის მოვლენებში აქტიური მონაწილეობისთვის ასევე 8-წელმისაჯილ **მიხეილ ყიფიანთან** (დაიბადა 1914 წელს ბაღდათში, იყო სამამულო ომის მონაწილე) ერთად ქართველ მსჯავრდებულთაგან შექმნა „საქართველოს გათავისუფლების კომიტეტი“, რომელმაც მიზნად დაისახა ბრძოლა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისთვის.

შეადგინეს „მომავალი საქართველოს წყობის წესდება“, რომელიც ითვალისწინებდა კონსტიტუციის საფუძველზე მისი საშინაო ცხოვრების სოციალისტურად მოწყობას, რესპუბლიკის კომპარტიას სახელწოდება უნდა შეცვლოდა და მუშათა და გლეხთა სოციალ-დემოკრატიული პარტია დარქმეოდა. უმაღლესი სახელმწიფო ორგანო იქნებოდა მინისტრთა საბჭოს კაბინეტი, წესდება ასევე ვარაუდობდა ეროვნული არმიის შექმნას ცალკე სასაზღვრო დაცვის სპეციალური ჯარით, რომელიც ეროვნული არმიის სარდლობას დაექვემდებარებოდა. ამასთან სასაზღვრო დაცვაზე მეთვალყურეობას განახორციელებდა საკავშირო მთავრობაც, ერთი სიტყვით, ეს კონფედერაციის მსგავსი პროექტი იყო.

6. სტამბა გამოქვაბულში

1956 წლის 10 ნოემბერს დააპატიმრეს **გიორგი ბატიაშვილი** (დაბ. 1918 წელს ლაგოდეხში, სამამულო ომის მონაწილე, თადარიგის კაპიტანი) მის მიერ შედგენილი და გავრცელებული 4 ხელნაწერი პროკლამაციისთვის, რომლებიც 1956 წლის 7, 8, 11 და 12 ივლისს გორში სასტუმრო „ქართლის“ კედლებზე გააკრა. უზენაესმა სასამართლომ მას 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ასეთივე ზომა მიესაჯა **ამირან აფციაურსაც** (დაბ. 1926 წელს წითელწყაროში, დააპატიმრეს 1956 წ. 4 ოქტომბერს), რომელმაც 14 ანტისაბჭოთა ხელნაწერი ფურცელი შეადგინა, ავრცელებდა თბილისის საავიაციო ქარხნის ტერიტორიაზე. ფურცლებში ლაპარაკი იყო მუშათა დაბალ ხელფასებზე, მთავრობის მიერ საბჭოთა ხალხის მოტყუებაზე, მის უნიათობაზე, რაც სახელმწიფოს ჩიხში აქცევდა.

პროკლამაციის გავრცელებისთვის 1957 წლის დეკემბერში დააპატიმრეს თბილისელი მოსწავლეები: **ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, ვლადიმერ სიხარულიძე, გურამ სხირტლაძე, გურამ დოჩანაშვილი, ანატოლი მიქაძე, თემურ ცერცვაძე, თამაზ გუნჯუა, თემურ მეტრეველი,** რომლებიც თავიანთ თავს „გორგასლიანებს“ უწოდებდნენ. ისხდნენ 4 თვე — 1958 წლის აპრილამდე.

60-იანი წლების დასაწყისში გამოვლინდა აგრეთვე ტერორისტული აქტის მცდელობაც (**მექვაბიშვილის** ჯგუფი) ნ. ხრუშჩოვის წინააღმდეგ.

ხელნაწერი არალეგალური ფურცლების გარდა, იყო ნაბეჭდი პროკლამაციებიც, ფაჩულია-ბარამიძის საიდუმლო სტამბის მსგავსი სხვაც არსებობდა.

ყაზბეგში, ერთ-ერთ გამოქვაბულში გამართეს სტამბა ძმებმა **მიხეილ** (დაბ. 1931 წ. ყაზბეგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მოლარე-მოანგარიშე) და **გიორგი** (დაბ. 1934 წ. მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმის მოსწავლე) **ფიცხელაურებმა,** რაიონული გაზეთის „ახალი ხევის“ სტამბიდან ღამით ჩუმად გატანილი შრიფტითა და სასტამბო ნიშნებით, თვითნაკეთი მოწყობილობით.

პირველი პროკლამაცია, 240 ცალი 1956 წლის ოქტომბერში დაბეჭდეს და ფოსტით დაუგზავნეს თბილისში, სტუდენტებს, დაწესებულებებს. სასამართლომ 1958 წლის მარტში მიხეილ და გიორგი ფიცხელაურებს 6-6 წლით პატიმრობა მიუსაჯა, თუმცა შემდეგ 2-2 წელი ჩამოაკლო. სასჯელი მორდვეთში „დუბროვლაგში“ მოიხადეს.

ასე რომ, პროტესტისა და წინააღმდეგობის ძაფი არ გაგწყდარა, ეროვნული სულისკვეთების ნიშატი არ გამქრალა.

ოღონდ მაშინ ყველას ნათლად როდი ჰქონდა წარმოდგენილი, როგორი უნდა ყოფილიყო თავისუფლება, დამოუკიდებლობა. ამის გასასიგრძეგანებლად სამი ათეული წელი კიდევ იყო დარჩენილი.

„შეინახოს მუდმივად“ — აწერია სუკის არქივში დაცულ ამ ტომებს.

შევინახოთ და გვახსოვდეს!

ალეკო ასლანიშვილი

ტრამპის საიმიგრაციო პოლიტიკა მიუღებელია, რადგან თვითონ ამერიკა საფუძველშივე მიგრანტთა ქვეყანაა



დონალდ ტრამპის ხისტ მიგრაციულ პოლიტიკას ვაშინგტონში საპროტესტო აქციით შეხვდნენ. ასობით დემონსტრანტმა არალეგალების მასობრივი დეპორტაცია გააპროტესტა მთავარი ლოზუნგით – „მე მათი ბედი მადარდებს“. აქციის მონაწილენი მოითხოვენ, შეწყდეს მიგრანტების მასობრივი დაკავება ამერიკა-მექსიკის საზღვრის უკანონო გადაკვეთის გამო.

აქციის მიუხედავად, დონალდ ტრამპი ხისტი მიგრაციული პოლიტიკის ერთგულად რჩება. ამ რამდენიმე დღის წინათ ტრამპმა დაუფარავად აღნიშნა, **„ჩვენ ვაპირებთ, ბრძანება გამოვცეთ და არალეგალი მიგრანტების ოჯახები ერთად განვათავსოთ, თუმცა მათ მიმართ სიმკაცრე უნდა შევინარჩუნოთ, თორემ ჩვენს ქვეყანას დაიპყრობს ხალხი, კრიმინალი და ყველაფერი, რისი ატანაც არ გვსურს“.**

მართლაც, სულ ახლახან დონალდ ტრამპმა მიგრანტთა ოჯახების განცალკევება აკრძალა. თუმცა იქვე განმარტა, რომ ამ აკრძალვის მიუხედავად, საიმიგრაციო პოლიტიკა – „ნულოვანი ტოლერანტობა“ მომავალშიც გაგრძელდება.

ბოლო რამდენიმე კვირაში აშშ-ის ხელისუფლებამ სპეციალურ ცენტრებში განათავსა 2300-მდე ბავშვი, რომლებიც არალეგალმა მიგრანტებმა აშშ-ის ტერიტორიაზე გადაიყვანეს, თავად კი წინასწარი დაკავების იზოლატორში აღმოჩნდნენ. ამის გამო თეთრი სახლის ლიდერის საიმიგრაციო პოლიტიკა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს. რიგ პოლიტიკოსებთან ერთად აშშ-ის საიმიგრაციო პოლიტიკა რელიგიურმა ლიდერებმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმაც დაგმეს.

გაეროს ბავშვთა ფონდი – „იუნისეფი“ აშშ-ის სამხრეთით, მექსიკის საზღვართან არალეგალი მიგრანტებისთვის შვილების წართმევასა და ოჯახების ძალადობრივ განცალკევებას აკრიტიკებს. როგორც „იუნისეფის“ თავმჯდომარემ კრისტოფ ბულერმა განაცხადა, საზღვრის უკანონო გადაკვეთის დროს ზრდასრულ მიგრანტებს აკავებენ, ბრალს უყენებენ, თანმხლებ ბავშვებს კი ართმევენ და ცალკე სპეციალურ ცენტრებში ათავსებენ. საერთაშორისო მედიამ ხმოვანი ჩანაწერიც გამოაქვეყნა, სადაც პატარა ბიჭის ტირილი და მამის ნახვის მოთხოვნა ისმის. უცხოურ მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, მშობლებისგან განცალკევებულ ასობით ბავშვს ცხოვრება გისოსებში უწევს და ბეტონის იატაკზე სძინავს.

ამ ეტაპზე გაურკვეველია, რა ბედი ელის ცალკე განთავსებულ 2300 ბავშვს და დააკავებენ თუ არა მათ უფროსებთან ერთად. სიტუაციას დრამატულობას სძენს ის ფაქტიც, რომ არა მარტო მოზრდილ ბავშვებზეა საუბარი, არამედ 18-თვის ასაკის ბავშვებზეც, რომლებსაც მშობლებისგან განცალკევებით ათავსებენ.

ექსპერტი მიგრაციის საკითხებში **ნანა ნაზაროვა** აცხადებს, რომ, ცხადია, დონალდ ტრამპის მიგრაციული პოლიტიკა მტკივნეულია ბავშვებისთვის და ეს ბავშვთა კონვენციის, საერთაშორისო კანონმდებლობის დარღვევაა, მაგრამ ამერიკისთვის ეს არაფერს ნიშნავს. ამერიკელები ამბობენ, საერთოდ, ადამიანის უფლებების კომიტეტიდან გავდივართ და არც გვინდა თქვენი ადამიანის უფლებებიო. ძლიერი ქვეყნები ასეთ რამეს აკეთებენ და, პატარა ქვეყნებისგან განსხვავებით, დიდ ქვეყნებზე ზეწოლა ძალიან ძნელია.

„რუსეთი და ამერიკა თითქმის ერთნაირად იქცევიან ადამიანის უფლებების სფეროში. თუმცა არც ის დაგვავიწყდეს, რომ არალეგალური მიგრაცია ნიშნავს, რომ ადამიანმა გადაკვეთა საზღვარი ტბებით, ტყეებით, მთებით, ანუ კანონიერად არ გადალახა საზღვარი, რაც კრიმინალური საქციელია. ყველა ქვეყნის კანონმდებლობა, მათ შორის, საქართველოს კანონმდებლობაც ამ საქციელს კრიმინალურად ცნობს. სხვათა შორის, ამისთვის საქართველოში უამრავი ადამიანი ციხეში ზის. როგორც ვიცი, თუ პატარა ბავშვია, მაშინ დედასთან ერთად მიდის ციხეში, ხოლო, თუ უფრო დიდი ასაკისაა, მაშინ ბავშვისა და მშობლის განცალკევება ხდება და ბავშვს გადასცემენ საკუთარ ოჯახს, ხოლო, თუ ეს ოჯახი არ არის იმ ქვეყანაში, მაშინ სად უნდა წაიყვანონ ბავშვი? ამიტომაც, რაც ამერიკაში ხდება, კანონიდან გამომდინარე, ლოგიკურია. თუმცა ადამიანის უფლებების თვალსაზრისით, ეს საშინელებაა“, – აღნიშნა ნანა ნაზაროვამ.

მისი თქმით, ტრამპი მიგრანტების მიმართ ასეთ ხისტ მიდგომას არ გამოავლენდა, კანონს რომ არ მიეცა ამის საშუალება. ის ამას კანონიერად აკეთებს, რადგან თავად არალეგალმა მიგრანტებმა დაარღვიეს კანონი. უბრალოდ, ტრამპმა კიდევ უფრო გაამკაცრა ეს კანონი და მასში დამატებითი ჩანაწერები გააკეთებინა.

ნანა ნაზაროვა ისტორიულ ძნელბედობასაც იხსენებს და ამბობს, რომ ომების დროს ადამიანები ტოვებდნენ სამშობლოს და გარბოდნენ უცხოეთში ბავშვებითურთ, ოჯახებითურთ. წინათ ასეთი რამ მხოლოდ ომის დროს ხდებოდა, ახლა კი მექსიკაში ომი არ არის, უბრალოდ, საშინელი სიღარიბეა.

„მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის“ ქუთაისის ოფისის კოორდინატორი **ნუგზარ კოხრეიძე** დონალდ ტრამპის ახალ გადაწყვეტილებას მიესალმება, რომლის თანახმადაც, ბავშვები და მშობლები არ უნდა დააშორონ ერთმანეთს, თუმცა მიიჩნევს, რომ, ზოგადად, ტრამპის მკაცრი საიმიგრაციო პოლიტიკა არ არის მისაღები, რადგან თვითონ ამერიკა თავის საფუძველშივე მიგრანტთა ქვეყანაა. მართალია, ამერიკაში მომატებულია ტერორიზმის საშიშროება, სხვა საფრთხეებიც არსებობს, მაგრამ მკაცრი პოლიტიკის წარმოება არასდროს იძლევა დადებით შედეგს, რასაც უსაფრთხოება და ტერორიზმთან ბრძოლა ჰქვია. პირიქით, ამით უფრო მეტად დაშავდებიან ჩვეულებრივი ადამიანები, რომლებიც ომებს, კონფლიქტებს გაურბიან თავიანთ ქვეყნებში.

მოამზადა
მანანა ნოზაძემ.

ტოფიგ აბასოვი: საქართველოში პორტების განვითარება მთელი რეგიონის ინტერესებს მოემსახურება

საინფორმაციო სააგენტო „აქცენტმა“ საქართველოში პორტების მშენებლობის თემატიკას სტატიების ციკლი მიუძღვნა. ჩვენ ამ საკითხზე აზრის გამოთქმა ვთხოვეთ საქართველოში მოღვაწე ეკონომისტებს, პოლიტოლოგებსა და უსაფრთხოების საკითხებზე მომუშავე ექსპერტებს. გამომდინარე იქიდან, რომ პროექტები რეგიონალური მნიშვნელობისაა, გადავწყვიტეთ, მკითხველისთვის უცხოელი ექსპერტების მოსაზრებებიც გაგვეცნო. დღეს გთავაზობთ საქართველოს ერთ-ერთი სტრატეგიული მოკავშირის, მეგობარი და პარტნიორი ქვეყნის, აზერბაიჯანის წამყვანი პოლიტოლოგის ტოფიგ აბასოვის პოზიცის, რომელიც აღნიშნულ პროექტებს რეგიონალურ პრიზმაში მიმოიხილავს.

აზერბაიჯანელი პოლიტოლოგის ტოფიგ აბასოვის განცხადებით, ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტისა და ბათუმის ნავსადგურის ტერიტორიაზე თანამედროვე ტერმინალის მშენებლობის წარმატებით რეალიზაციის შემთხვევაში, აღნიშნული პორტები როგორც საქართველოს, ისე მთელი რეგიონის ინტერესებს მოემსახურება.

როგორც „აქცენტს“ აზერბაიჯანელმა პოლიტოლოგმა განუცხადა, „ესენი ძალზე აქტუალური პროექტებია, რომლებიც სამომავლოდ გაამარტივებს და უფრო ეფექტურს გახდის ტვირთების გადაზიდვას“.

„უპირველესად, ალბათ, უნდა აღინიშნოს აზერბაიჯანის საკვანძო როლი. ეს როლი და ის, თუ როგორ პოზიციონირებს ბაქო საკუთარ თავს ფუნქციონალურ სუბიექტად, რომელსაც ძალუძს, ძალზე წარმატებულად, ძალზე მოქნილად ჩაეწეროს გლობალურ პროექტებში, ეს კარგ და გადამდებ მაგალითს ქმნის ჩვენი მეზობელი სახელმწიფოებისთვის. თანაც, აზერბაიჯანი და საქართველო უკვე მრავალი წელია, 1990-იანების ბოლოდან ერთ „შეკვრაში“ არიან, წარმატებულად თანამშრომლობენ და ამით ქმნიან ძალზე დადებით საინტეგრაციო ფენომენს მთელი რეგიონისთვის, რაც ძალიან კარგია და დასაფასებელი.

რაც შეეხება საკუთრივ ამ პროექტს, ეს მართლაც ძალზე მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტია, რომელიც წარმატებით განხორციელების შემთხვევაში მოემსახურება როგორც თავად საქართველოს, ისე მთელი რეგიონის ინტერესებს“, – აცხადებს ექსპერტი.

მისივე თქმით, „საქმე ისაა, რომ ზოგადად, შავი ზღვის აუზი წარმოადგენს აქტიური გეოეკონომიკური ძვრების ზონას, ანუ იქ მუდმივად მიმდინარეობს გარკვეული პროცესები, თუმცა ახლა – მას შემდეგ, რაც 1990-იანი წლების ბოლოდან აზერბაიჯანმა საქართველოსა და თურქეთთან ერთად მიაღწია საკვანძო გარდატეხას ევროპელ პარტნიორებთან ჩვენი ეკონომიკური ურთიერთობების ინტენსიფიკაციის სასარგებლოდ, აქ უკვე საფუძველი ეყრება ახალ ნახტომს. ამ მხრივ საყურადღებოა, რომ „ჩრდილოეთ-სამხეთის“, „აღმოსავლეთ-დასავლეთის“ სატრანსპორტო დერეფნების მხარდამხარ აქტიურად ყალიბდება კიდევ ერთი ალტერნატივის – „სამხრეთ-დასავლეთის“ კონტურები. წარმატებით განხორციელების შემთხვევაში ეს უკანასკნელი აქტიურად იქნება გამოყენებული ისეთი მსხვილი რეგიონული მოთამაშეების მიერ, როგორიცაა ირანი, პაკისტანი, ანუ იგი დააკავშირებს ინდოეთის ოკეანეს სპარსეთის ყურის ზონას ევროპასთან (აქ მოიაზრება როგორც ჩრდილოეთ, ისე სამხრეთ და აღმოსავლეთ ევროპა, მთელი დანარჩენი ევროპაც კი), რადგან ამ პროექტით უკვე დაინტერესდნენ, მაგალითად, პოლონეთი, ბალტიისპირეთის ქვეყნები, გერმანია, ბელარუსი...

ამდენად, ეს ძალზე პერსპექტიული პროექტია და იმ პირობებში, როცა თვალს ვადევნებთ, მაგალითად, ისეთი გრანდიოზული მეგაპროექტის აქტივიზაციას, როგორიცაა „ერთი სარტყელი – ერთი გზა“, რომელსაც ჩინეთი ავითარებს და რომელშიც ბევრი ქვეყანა უკვე ჩაერთო, აქ ჩნდება ალტერნატიული ვარიანტებიც. ამიტომაც, თუ გავითვალისწინებთ ტვირთების გადაზიდვის მზარდ ნაკადს აღმოსავლეთი მიმართულებიდან დასავლეთისაკენ, დივერსიფიკაცია უდიდეს მნიშვნელობას იძენს მომავლის ინტერესებისთვის. შესაბამისად, პროექტი „სამხრეთი-დასავლეთი“ ძალზე აქტუალური გამოწვევაა და ქვეყნები, რომლებიც მის მარშრუტში ახორციელებენ შენატანებს – აზერბაიჯანიც, საქართველოც, უკრაინაც და შავი ზღვის აუზის სხვა სახელმწიფოებიც, ქმნიან არაჩვეულებრივ შესაძლებლობებს დივერსიფიკაციისთვის.

ამგვარად, პრინციპული თანხმობა, რომელიც მიღწეულია თეირანს, ბაქოსა და თბილისს შორის, ფაქტობრივად, უკვე ამ პროექტის ნახევარზე მეტს წარმოადგენს და საქართველოშიც, სრულიად ლოგიკურად, უკვე ფიქრობენ იმაზე, რომ გარკვეულწილად, აზერბაიჯანის გზას გაჰყვნენ, ააშენონ ღრმაწყლოვანი პორტი, რადგან, თუ საუბარი მიდის ტვირთების გადაზიდვის ზრდაზე, მოდალურ, ინტერმოდალურ გადაზიდვებზე და ა.შ. (მიწა, წყალი, ზღვა, ისევ მიწა), საქართველოც უნდა იყოს მზად როგორც მსხვილგაბარიტიანი მცურავი ტვირთების, ისე ბორნების მისაღებად.

რომ შევაჯამოთ, ეს არის ძალზე აქტუალური პროექტები, რომელიც სამომავლოდ გაამარტივებს და უფრო ეფექტურს გახდის ტვირთების გადაზიდვას“, – აცხადებს აბასოვი.

„ჭიაყელების საფრთხე“

ფრანგ ბიოლოგებს განგაში აქვთ ატეხილი: ქვეყნის ბაღებსა და ბოსტნებს უზარმაზარი, ნახევარ მეტრამდე სიგრძის ნიჩბისთავა ჭიაყელები შეესივნენ. ისინი ჩვეულებრივ, ე.წ. წვიმის ჭიაყელებზე, ლოკოკინებსა და მწერებზე ნადირობენ, რისთვისაც მათ ძლიერი შხამით ადამბლავებენ. ამ ურჩხულთა მომრავლება სოფლის მეურნეობას სერიოზულ ზარალს აყენებს.

მეცნიერთა განცხადებით, ბრტყელი ჭიაყელები სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიიდან არიან წამოსულები, რომლებმაც ევროპასა და მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის მიწურულიდან დაიწყეს შემოღწევა. ისინი იქაურ დეკორატიულ მცენარეთა ფესვების მიწას მოჰყვება. უწინ ისინი ახალ ტერიტორიებზე დამაგრებას ვერ ახერხებდნენ, ახლა კი, კლიმატის ცვლილების წყალობით, ევროპაში თავს მშვენივრად გრძნობენ.



ყველაზე დიდი საშიშროება ისაა, რომ ეს ჭიაყელები ჩვენშიც შესაძლოა, იგივე გზით მოხვდნენ და ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე გამრავლდნენ. ასეთი აგრესიის კლასიკური მაგალითია საქართველოს ტყე-ბაღებს შემოსეული ფაროსანა, რომელმაც ჩვენი ქვეყნის დასავლეთ ნაწილში სოჭის ზამთრის ოლიმპიადაზე სპორტული ობიექტების გამწვანებისთვის გამიზნულ ეგზოტიკურ მცენარეებთან ერთად კრასნოდარიდან შემოაღწია. იმავეს თქმა შეიძლება ზღვის ბიბილოსანზე, რომელმაც კარგა ხანია, შავი და კასპიის ზღვების ბიოსისტემები „შავ დღეში“ ჩააგდო.

მდგომარეობას კიდევ უფრო ამძაფრებს ის გარემოება, რომ წინა ხელისუფლების დროს მრავალი შეცდომა თუ განზრახ ბოროტებაა გაკეთებული, რომელთა გამოსწორებას და სამართლიანობის აღდგენას დღესაც მაინცდამაინც არავინ ჩქარობს. ამას იმიტომ ვამბობ, რომ თავის დროზე, ახალგაზრდა თავხედმა ვაირეფორმატორებმა ათასობით გამოცდილი სპეციალისტი ქუჩაში გამოყარეს — 40 წლის ხეც კი აღარ გვინდაო! მთელი რიგი სამსახური კი საერთოდ გააუქმეს, მათ შორის, ფაქტობრივად, მოსპეს სამამულო გეოლოგიური დარგი, ფაგების წარმოება, სასაზღვრო სანიტარიული და ფიტოკონტროლი, არადა, სწორედ ამ სამსახურის უშუალო საქმიანობაა აგრესიულ სარეველებთან, მწერებთან, ცხოველებთან და ა.შ. ბრძოლა, რომელთაც არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ კავკასიის რეგიონში არ ჰყავს შემაკავებელი ბუნებრივი მტრები, რაც ფაროსანის მსგავსი შემოსევისგან დაგვიცავდა.

ამასთან დაკავშირებით, მხოლოდ ერთი რამის თქმა მიგვაჩნია საჭიროდ: კი ბატონო, ნუ გავიხსენებთ ცუდ წარსულს და უკან მიუხედავად მხოლოდ წინ ვიყუროთ, მაგრამ ის აშკარა დანაშაულებრივი ქმედებების კვალი მაინც წავშალოთ და იმის აღდგენაზე ვიზრუნოთ, რაც ქვეყნისა და მოსახლეობის უსაფრთხოებას სჭირდება! ამ შემთხვევაში, ცხადია, სასაზღვრო სანიტარიული და ფიტოკონტროლის სრული მასშტაბით აღდგენას ვგულისხმობთ, მაგრამ, ამას გარდა, გასაკეთებელ-ასაღორძინებელი იმდენია და ისეთი მასშტაბით, რომ მათ ნაწილობრივ აღდგენასაც კი, თუკი ასეთი რამ საერთოდ შესაძლებელია, ათწლეულები დასჭირდება!

ნინო ალექსანდრია

თუ გულის შეტევა გეწყებათ...

ხშირად ხდება ხოლმე, რომ გულის შეტევა კაცს მარტო ყოფნის დროს მოსდის. ამიტომაც, თუკი უცბად იგრძნობთ, რომ გულის მუშაობის რიტმი დაგერღვათ და გულის წასვლის ნიშნებს შეამჩნევთ, გახსოვდეთ, რომ საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად სულ 10 წამი გაქვთ! ამიტომ, აუცილებლად დაიწყეთ რაც შეიძლება ძლიერად ხველება! ყოველი დახველების წინ ჰაერი ღრმად ჩაისუნთქეთ — ამით ხველა ხანგრძლივი იქნება და ფილტვების შიგნიდან წამოვა, თითქოს ნახველის ამოღებას ცდილობთ.

ჩასუნთქვა და ხველება ყოველ 2 წამში უნდა მეორდებოდეს მანამდე, სანამ გული კვლავ ნორმალურად ფეთქვას არ დაიწყებს.

ღრმა ჩასუნთქვა ფილტვებში ჟანგბადის ღრმად შეღწევას უწყობს ხელს, ხველების მოძრაობები გულს „უჭერს“ და სისხლს მოძრაობას აიძულებს. გულზე დაწოლა კი მას ნორმალურ რიტმში მუშაობას აიძულებს. ამდენად, ასეთი მოქცევით გულის შეტევის დროს კაცს ექიმის გამოსაძახებლად დამატებითი დრო ეძლევა.

◎ მძლეოსნობა

ხვიჩავას საგზური და ბალკანური „ოქრო“

წლეულს 10 ივლისიდან ტამპერეში 20-წლამდელ მძლეოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართება, სადაც ამ შეჯიბრებაში გამოსვლის უფლება ხუთმა ქართველმა სპორტსმენმა მოიპოვა - ლაშა-გიორგი გურგენიძემ (ურო), დავით ოჩიგავამ (ურო), ბადრი ქიმაძემ (ბადრო), ნინო წიქვაძემ (ურო) და საბა ხვიჩავამ (3 კმ/წინაღობებით). ამ უკანასკნელმა ფინეთში გასამგზავრებელი საგზური სტამბოლში გამართულ 20-წლამდელ მძლეოსანთა ბალკანეთის ღია ჩემპიონატში დაიმსახურა.

საბა ხვიჩავა

ხვიჩავამ (მწვრთნელი ჯეირან ხოფერია) 3.000 მეტრი წინაღობებით 9 წუთსა და 5 წამში დაფარა და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. თურქეთში კიდევ ოთხი ჩვენებური ასპარეზობდა. მედლამდე მცირედი დააკლდა სიგრძეზე მხტომელ რომან ბადრიძეს, რომელმაც 7,18 მეტრით მე-4 ადგილი დაიკავა. 800 მეტრზე რბენაში 1.55,01-ით მეშვიდე იყო გიორგი გიორგაძე. ასევე, მეშვიდე ადგილზე გავიდა ბადროს მტყორცნელი გია დავითაშვილი (47,46), ხოლო 110 მეტრზე თარჯრბენში დავით ლუკავამ ტრავმის გამო დისტანცია ვერ დაასრულა.

ლექსო ცინცაძე

◎ მუნდიალი 2018

ყაზანური შოკი

ბომბი სწორედ მაშინ გასკდა, როცა არავინ ელოდა.

დიახ, მას შემდეგ, რაც წინა მუნდიალის ფინალისტი არგენტინა გაჭირვებით გადაურჩა შერცხვენას, აწ უკვე ყოფილ გვირგვინოსან გერმანიას მოულოდნელად მოუწია ჩემოდნების ჩალაგება და სამშობლოში მარადიული ლაქით დაბრუნება. ასე რომ, რუსეთი ალემანთათვის საბედისწერო ქვეყნად რჩება. რასაკვირველია, როცა ამას ვამბობთ, უახლოეს წარსულსაც ვგულისხმობთ დიდი სამამულო ომის ჩათვლით, ზოგ-ზოგიერთნი ჯიუტად რომ მოიხსენიებენ მეორე მსოფილიო ომად, თუმცა, მოდით, ისევ ყაზანში განვითარებულ დრამატულ მოვლენებს დავუბრუნდეთ.

გერმანია — სამხრეთ კორეა 0:2
პირველი ტაიმი 0:0

გოლები: კიმი (91-ე წთ), სონი (95-ე წთ).

გერმანია პირველად ჩარჩა ჯგუფში. სხვათა შორის, წლეულს იქაურ ფეხბურთს საოცარი „პირველობები“ დაებედა — შეგახსენებთ, რომ ამას წინათ „ჰამბურგი“ პირველად გავარდა ბუნდესლიგიდან, მაგრამ სად ლოკალური საკლუბო სიახლე და სად საერთო-ეროვნული ფიასკო, თანაც ვისთან?

ბუნდესნაკრებში რომ ყველაფერი რიგზე არ იყო, წინა შეხვედრებმაც დაადასტურა, მაგრამ ის, რაც ამჯერად მოხდა, გაცილებით სიღრმისეულ ანალიზსა და, თუ გნებავთ, რადიკალური ზომების მიღებასაც მოითხოვს, რადგან, როგორც სჩანს, იოაჰიმ ლიოვმა უკვე ამოწურა საკუთარი თავი გუნდის მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე და ხანგრძლივი წარმატებული მოღვაწეობისთვის მადლიერებასთან ერთად, თუნდაც დროებით, პენსიაზე გასვლასა და მშვიდ გარემოში დასვენებას იმსახურებს.

შვედეთი — მექსიკა 3:0.

შვედეთი, მექსიკა — 6-6,

კორეა, გერმანია — 3-3 ქულა.

ცნობისთვის: გერმანიამ XXI საუკუნეში დამკვიდრებულ ტრადიციას უერთგულა და იტალიისა და ესპანეთის მსგავსად, როგორც მოქმედი ჩემპიონი, მომავალ მსოფლიოს ჩემპიონატს ჯგუფური რაუნდიდან დაემშვიდობა.

ბრაზილია — სერბეთი 2:0, შვეიცარია — კოსტა რიკა 2:2.

ბრაზილია — 7, შვეიცარია — 5, სერბეთი — 3, კოსტა რიკა — 1 ქულა.

მერვედფინალში ითამაშებენ: ბრაზილია — მექსიკა, შვედეთი — შვეიცარია.

გიორგი შოთაძე

◎ ფეირ-პლეი

„მილანი“ ევროთასეულიდან მოკვეთეს

იტალიური „მილანი“ ევროთასეულიდან მოკვეთეს. ეს ინფორმაცია გუშინ უეფამ ოფიციალურად დაადასტურა. ასეთი მკაცრი სასჯელის მიზეზი სამართლიანი თამაშის პრინციპის დარღვევა გახდა.

კერძოდ, გასულ ზაფხულს „მილანმა“ დაშვებულზე მეტი თანხა დახარჯა და უეფას დღემდე ვერ წარუდგინა ვალის დაფარვის გეგმა.

შედეგად, „როსონერი“ ევროპა ლიგის გათამაშებიდან მოიხსნა, სადაც დამდეგ სეზონში უნდა ეთამაშა. სასჯელი ერთწლიანია და იტალიელებს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება აქვთ.

„მილანის“ ნაცვლად ევროპა ლიგაზე იტალიას ფლორენციის „ფიორენტინა“ წარადგენს.

მანუჩარ გიორგაძე

◎ მოვლენის წინ

მინუს „მანუ“, მაგრამ...

დღეს 19 საათზე თბილისის სპორტის სასახლეში დაიწყება მსოფლიოს საკალათბურთო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო რაუნდის მეხუთე ტურის შეხვედრა: საქართველო — სერბეთი.

ნებისმიერ შემთხვევაში ერთ-ერთი ევროპული გრანდის ვიზიტი ჩვენს ქვეყანაში სპორტული სეზონის გამორჩეულ მოვლენად უნდა შეფასდეს და ასეცაა, მაგრამ არის ერთი ფაქტი, რომელიც დამდეგ საკალათბურთო დღესასწაულს გარკვეულწილად აფერმკრთალებს. ეს გახლავთ ის შემადგენლობები, რომლითაც მეტოქენი ერთმანეთს უნდა შეებან, უფრო სწორად, საკადრო პრობლემები.

უპირველესად, ჩვენს დანაკლისზე ვთქვათ, რომელიც ისედაც საგრძნობი გახლდათ, მაგრამ გუნდის კაპიტან მანუჩარ მარკოიშვილის ძველი ტავმის რეციდივმა მასპინძელთა დაცვაში ამოუვსები ნაპრალი გააჩინა. თუმცა, არის დადებითი სიახლეც — პარტნიორებს შეუერთდა და პრინციპული ბრძოლისთვის მათთან ერთად ემზადება ევროლიგის მოთამაშეთა ასოციაციის ახლახან არჩეული ვიცე-პრეზიდენტი და ესპანეთის ვიცე-ჩემპიონ „ბასკონიას“ კაპიტანი თორნიკე შენგელია, რომელსაც სტუმართა დამრიგებელი ალექსანდრ ჯორჯევიჩი განსაკუთრებით უფრთხის.

რადგან ბალკანელები ვახსენეთ, მათ დანაკლისსაც გაგაცნობთ: სხვადასხვა მიზეზის გამო საქართველოში ჩამოსვლაზე უარი თქვეს მთელმა რიგმა ვარსკვლავებმა, მათ შორის თეოდოშიჩმა, ბოგდანოვიჩმა, რადულიცამ და ბიელიცამ, მაგრამ ტალანტების საბადოდ აღიარებულ ექს-იუგებს მაინც შთამბეჭდავი ანსამბლი ჰყავთ, რომელსაც ღირსეულად უნდა დავუხვდეთ.

მოკლედ, შევავსოთ სპორტის სასახლის ტრიბუნები და თანამემამულეებს ჩინეთის საგზურის მოპოვებაში დავეხმაროთ!

ვიტალი ჯაფარიძე

◎ კოკაინის სექტორი

რა სჭირდა მარადონას?

ვინც მუნდიალზე არგენტინისა და ნიგერიის ნაკრებთა შორის მატჩს უყურეთ, რასაკვირველია, არ გამოგრჩებოდათ ლეგენდარული არგენტინელის - დიეგო მარადონას მთვლემარე სახე, არეული მზერა და ისეთი იერი, რომელიც მას საფეხბურთო კარიერის უკანასკნელ პერიოდში ჰქონდა.

ამ სურათის ხილვის შემდეგ, ბუნებრივია, მთელ საფეხბურთო სამყაროში დაიწყო მითქმა-მოთქმა იმასთან დაკავშირებით, თუ რა შეიძლება სჭირდეს სკანდალურ არგენტინელს. უმეტესობა, ცხადია, გონივრულ ეჭვს გამოთქვამს, რომ მარადონა მისთვის ესოდენ საყვარელ „საქმიანობას“ — ნარკომანიას მიუბრუნდა და პეტერბურგის სტადიონის ტრიბუნაზეც კოკაინნასუნთქი ბრძანდებოდა.

მარადონას დამცველებიც გამოუჩნდნენ და განაცხადეს, რომ დონ დიეგო, უბრალოდ, დაღლილი იყოო. უფრო მეტი, ფანტაზიის მქონე ხალხმა კი ყველაფერი რუსული არყის ძალმოსილებას დააბრალა და ისიც კი თქვეს, მარადონას არ უნდოდა არყის დალევა, მაგრამ ვიპ-ლოჟაში მჯდომმა პუტინმა დააძალაო.

თვალებამოტრიალებულ დიეგო მარადონაზე მითქმა-მოთქმა, ცხადია, ასე მალე არ დასრულდება და არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ სულ მალე ამ ამბავზე სიმღერებიც დაიწერება, ლექსებიც გამოითქმება და სტადიონზე ჩაძინებული მარადონას ფოტოებს ბევრი ადამიანი მაისურებზეც დაბეჭდავს. თავად დიეგო მარადონას კი რა ეშველება — ეს მართლა არავინ იცის...

კობა კობახიძე

◎ ინტერნეტიდან

ირინას იმედები

თანამედროვეობის ერთ-ერთ უშხვართეს და პოპულარულ მოდელს, რუს ირინა შეიკს რუსეთში მიმდინარე მუნდიალზე ბევრი ელოდა, თუმცა, ფეხმძიმე ასულმა სტადიონებზე ხმის ჩახლეჩვამდე კივილს სახლში დარჩენა და თავისი მცირეწლოვანი ქალიშვილისა და ქმრის გარემოცვაში ფეხბურთის ტელევიზორში ცქერა ამჯობინა.

ირინა შეიკი ჯერ კიდევ მსოფლიოს ჩენპიონატის დაწყებამდე ამბობდა, რომ მუნდიალზე მხარს მის მშობლიურ რუსეთის ნაკრებს უჭერდა და, თქვენ წარმოიდგინეთ, იმის ამბიციაც კი გააჩნდა, რომ რუსთა გუნდი შეიძლება მსოფლიოს ჩემპიონი გახდეს.

ირინა შეიკის მეუღლე, ცნობილი მსახიობი ბრედლი კუპერი ფეხბურთის მოყვარული ნამდვილადაა, თუმცა, იგი, ცხადია, რუსეთის ნაკრების ქომაგობას არ აპირებდა და მისი არჩევანი არგენტინის საფეხბურთო ნაკრები გახლავთ. თუმცა, არგენტინის უფანტაზიო თამაშის ფონზე ვინ იცის, შეიძლება ისიც ცოლის ჭკუაზე გადავიდეს.

რუსტომ რაჭველიშვილი

ულვთო იყო მისი სიკვდილი

იგონებენ რეზო ფაჩულიას

„ასე გაიშვიათებული კაიკაცის
ფენომენის დროს,
ლოდინის სარკმელიდან ვხედავ
ფაჩულია რეზოს!“

ფრიდონ ხალვაში

ეს სიტყვები, ჯერ კიდევ, მრავალი წლის წინათ მიუძღვნა ბატონმა ფრიდონმა ჩვენს საყვარელ რეზოს, მართლაც იშვიათია მათი თაობისნაირი ადამიანები და უკვე მესამე წელია, მართლაც, რომ „ლოდინის სარკმელი“ გაჩნდა რეზოსა და ჩვენს, მის ახლობლებს შორის. ეს უკვე რიგით მესამე დაბადების დღეა, რომელსაც უიმისოდ ვხვდებით. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ეს ერთ-ერთი დაბადების დღეა, რადგანაც იგი ყოველთვის წელიწადში ორ დაბადების დღეს ზეიმობდა, როგორც უმეტესი ძველი თაობის წარმომადგენელი საბუთების მოუწესრიგებლობის გამო, რაც მაშინდელი არეული პერიოდით იყო განპირობებული — ოჯახში აღსანიშნავი დაბადების დღე მუდამ იყო 27 ივნისი, ხოლო სამეგობრო და კოლეგათა წრეში აღსანიშნავი — 15 სექტემბერი.

უხერხულია, უახლოესი ადამიანი და შენი ნაწილი დაახასიათო, მაგრამ არ შეიძლება, არ აღინიშნოს, რომ იგი უზომოდ თბილი, მოსიყვარულე, მისი საქმის პროფესიონალი და უანგარო ადამიანი იყო. მან დიდი და დადებითი კვალი დატოვა ყველა იმ ადამიანში, ვისთანაც კი შეხება ჰქონია ცხოვრების მანძილზე. ჩვენ ბედნიერები ვართ, როდესაც ჩვენთვის სრულიად უცხო ადამიანები, ვისზეც მხოლოდ რეზოსგან გვსმენია, გვეხმაურებიან, მის სიკეთეებს გვიზიარებენ დღემდე მადლიერების გრძნობით და მისდამი პატივისცემით გამსჭვალულნი. ძალიან დიდი მადლობა ყველა ამ ადამიანს ასეთი წრფელი გრძნობებისა და დაფასებისთვის!

რეზო ფაჩულია მოღვაწეობდა მწერლობის, მეცნიერების სხვადასხვა სფეროში და მიაღწია არა ერთ წარმატებას, რასაც თავის შრომის გარდა დიდად უმადლოდა არაჩვეულებრივ მეუღლეს, უბადლო დიასახლისსა და ბურჯს, უსაყვარლესს ლამარას, რადგან იგი, როგორც ღირსეული მეუღლე, მუდამ გვერდით ედგა ნებისმიერი სირთულისა და სიხარულის დროს.

ჩვენი რეზო ასევე დიდად გამოირჩეოდა პატრიოტიზმით, რასაც ნათლად ადასტურებს მისი მხრიდან რუსულ-აფხაზური სეპარატისტული მანიპულაციების მოგვარების მცდელობა მოქალაქეობრივი თუ თანამდებობრივი პოზიციიდან.

რეზო იყო უაღრესად კაცთმოყვარე და მიმტევებელი ადამიანი, რასაც ყველაზე მეტად მისი ცხოვრება ადასტურებს. მამა დომენტი 1937 წლის რეპრესიებს ემსხვერპლა და დედა მანანა ბაბუა რომანოზთან ერთად ზრდიდა ორ პატარას — 5 წლის რეზოსა და 2 წლის ნათელას. დროთა განმავლობაში რეზო, მძიმე სოციალური პირობების მიუხედავად, უდიდესი შრომისა და წვალების შედეგად განათლებულ ახალგაზრდად ჩამოყალიბდა. კომპარტიის სენაკის რაიკომის მეორე მდივნად აირჩიეს. და თავისი უსაყვარლესი ქალაქის სამსახურში ჩადგა, ქალაქისა, რომელზეც სიცოცხლის ბოლომდე იყო შეყვარებული. ამ პერიოდში მრავალი სიკეთის გაკეთება მოასწრო. განსაკუთრებით აღსანიშნავია ერთი: როდესაც რაიკომის მეორე მდივანს კაბინეტში რეზოს მამის მკვლელობაში დიდი წვლილის მქონე ადამიანი ესტუმრა და თავის შვილისთვის დახმარება სთხოვა, ბატონმა რეზომ დიდსულოვნად გაუწია დახმარება. მისი ასეთი საქციელით დანაშაულის გრძნობა აღეძრა კაცს, რომელმაც რეზოს მამა უსამართლოდ გაიმეტა სასიკვდილოდ, ეს კაცი, რეზოს მხრიდან შურისძიების მაგივრად მისთვის სიკეთის ქმნას ისე გაუოცებია, რომ თავში ხელი შემოურტყამს და სინანულით აღმოხდენია: „ანგელოზის მამის მკვლელი ვარო!“

სიკეთე მუდამ იყო მისი ცხოვრების თანამდევი, სრულიად ღირსეულად განვლო თავისი ცხოვრება.

რეზო ფაჩულიას ოჯახი!

* * *

ბატონი რეზო აღიარებული მეცნიერი იყო. მოღვაწეობდა ფინანსების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, ავტორი იყო დაზღვევის დარგში მრავალი სამეცნიერო ნაშრომისა, რომელთა შორისაც განსაკუთრებული ადგილი უკავია ბუნებრივი კატაკლიზმების რისკების შესწავლას. როგორც ცნობილია, ასეთი რისკ-ფაქტორები ბოლო დროს მნიშვნელოვნად მომაკლდა, ხოლო დაზღვევის დარგის სამეცნიერო შრომებში მას ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ. მისი დამსახურებაა, რომ, სხვებთან თანაავტორობით გამოიკვლია ეს მოვლენები და შესაბამის რანგში აიყვანა, რაც დღევანდელი გადასახედიდან თანმხვედრია მთელ მსოფლიოში ასეთი რისკების გახშირებულ პრაქტიკულ გამოვლინებებთან (მიწისძვრები, ტყის ხანძრები, ღვარცოფები და ა. შ.). ბატონი რეზო ლექციებს კითხულობდა თბილისის საფინანსო აკადემიაში. მისი აღზრდილი მრავალი ათეული ახალგაზრდა დღეს წარმატებული კარიერის მქონეა. ის ამ აკადემიაში არაერთი სამეცნიერო ღონისძიებისა და ქართული პოეზიის და პროზის მოღვაწეებთან შეხვედრების ორგანიზატორი იყო. ბატონი რეზო არაორდინალური ადამიანი გახლდათ, მისი ქცევა, ნააზრევი, ამბის მოყოლა და ა.შ. ყოველთვის სხვებისგან განსხვავებული და განსაკუთრებული იყო.

ავთანდილ კვარაცხელია,
უახლოესი მეგობარი და კოლეგა

* * *

ერთობ ძნელია ჩემთვის დიდი რეზო ფაჩულიას შესახებ წარსულში ლაპარაკი. ჩვენ თავიდანვე უნიკალური, მეგობრული ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა. წლების განმავლობაში ერთად ვმოღვაწეობდით სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტსა და უმაღლეს სასწავლებლებში, მეგობრულად ვშრომობდით და ვცხოვრობდით. მეამაყება ამ ბუმბერაზ პიროვნებასთან მეგობრობა, რომელიც პუბლიკაციებში და ყველგან გულითად ნაფიც მეგობრად მიხსენიებდა ხოლმე. ღვთითბოძებული ნიჭით და ბეჯითი სწავლის მეოხებით ენციკლოპედიური ცოდნა ჰქონდა ბატონ რეზოს, რომელსაც უშურველად ახმარდა მეცნიერულ კვლევებს, სტუდენტების აღზრდას. უდიდესი გულის სითბოთი ლაპარაკი უყვარდა, რითიც ყველასგან გამოირჩეოდა. საოცარი იუმორით, ტაქტით, სიკეთით, დახვეწილი მანერებით, კულტურითა და აღზრდით ყველასთვის სასურველი და სანატრელი პიროვნება იყო. ბატონ რეზოს მიაჩნდა, რომ „სანამ ცოცხალი ხარ, მუდამ უნდა სრულყოფდე საკუთარ პასუხისმგებლობას სიკეთის ქმნისა და ადამიანთა სიყვარულისთვის“.

ბატონი რეზო ფაჩულია იყო მწერალი, პოეტი, საზოგადო მოღვაწე, დამსახურებული ჟურნალისტი, მეცნიერი, პედაგოგი, დიდი მამულიშვილი, მოყვასი, სანიმუშო მეგობარი. ჩემი თბილისიდან ნიუ-იორკში საცხოვრებლად გადასვლის შემდეგაც, სიცოცხლის ბოლომდე არ შეგვიწყვეტია მეგობრული ურთიერთობა, რის შესახებაც ვრცლად მაქვს დაწერილი 2013 წელს ნიუ-იორკში გამოცემულ წიგნში — „მე და თქვენ“.

რახან ასეთ დიდ, ღირსეულ პიროვნებაზე ვწერ, მსურს, ძალიან გამორჩეულად წარუდგინო იგი მკითხველს, მაგრამ, თითქოს ვერ ვახერხებ. მიზეზი შეიძლება იყოს ჩემი გრძნობების, განცდების სრულად გადმოცემის შეუძლებლობა. ბატონი რეზო ფაჩულია დააკლდა კაცობრიობას, განსაკუთრებით საქართველოს. მან დატოვა სიცარიელე, რომლის შევსებას ვერავინ შეძლებს. ნათელში ამყოფოს მისი სპეტაკი სული უფალმა.

დავით კურტანიძე,
უახლოესი მეგობარი და კოლეგა,
პროფესორი, ნიუ-იორკი, აშშ.

* * *

სრულიად ახალგაზრდას ისეთი ცნობილი პროფესორის გვერდით რომ მოგიწევს თავის დამკვიდრება, როგორიც ბატონი იაშა მესხია იყო, არც ისე ადვილია. 90-იანი წლების პოზიტიურად გახსენება, მით უმეტეს აფხაზეთის ტკივილნაგემისთვის, იოლი საქმე როდია, მაგრამ ის თამამად შემიძლია ვთქვა, ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლები იყო... ისეთი ადამიანების გვერდით „ვიფუსფუსე“, შემიძლია მხოლოდ ამ ფაქტით ვიყო ბედნიერი. ბედნიერი ვარ ბატონ რეზო ფაჩულიას რომ ვიცნობდი, და არა მარტო ვიცნობდი, სწორედ ეს ურთიერთობა დაედო საფუძვლად ჩვენს მეგობრობას. შინაგანად ვგრძნობდი, მის ბუმბერაზ სამყაროს. ასე მგონია, ბატონმა იაშა მესხიამ პირადად გაუხსნა ბატონი რეზოს დაზღვევის განყოფილება ჩვენს ინსიტუტში, მომსწრე ვარ იმ მეტად საყურადღებო ინოვაციებისა და წინადადებებისა, რომელთა სადაზღვევო სფეროში დანერგვის პირველი ინიციატორი თვით ბატონი რეზო იყო.

არავისთვის არაა უცხო მის კაცთმოყვარეობაზე ლეგენდები, მაგრამ მე განსაკუთრებულ მოკრძალებას და სითბოს ვგრძნობდი მისგან. ფინანსების ინსტიტუტში, არცთუ ისე კარგი სამუშაო გარემო სუფევდა, როგორც ზოგადად სამეცნიერო-კვლევით კერებში, მაშინდელ თბილისში, ხშირად გაყინულ ან დასიცხულ კაბინეტებში ძალიან ჭირდა მუშაობა, სამშაბათობით დანიშნულ სხდომებზე მთელი ინსტიტუტის პროფესურა იკრიბებოდა და მათ შორის ბატონი რეზოც. ყველა დაიფანტებოდა 2-3 საათში, ბატონი რეზო კი თავისი ჩვეული სიდინჯით გამიზნულად „აითრევდა“ ფეხს და როცა ყველას, ვინც მხოლოდ სამშაბათობით „მოღვაწეობდა“ ფსკ ინსტიტუტში წასულად დაიგულებდა, თვითონაც გამოიხურავდა კაბინეტის კარებს, გვეგონა, უკვე სახლში მიდიოდა, მაგრამ უცბად ჩვეული ჩახვეულებით მოადგებოდა ჩვენს ოთახს, სადაც ძირითადად კრებულზე მომუშავე ბირთვი ვრჩებოდით, და ათასგვარი საჭმლით დატვირთული გადმოაბიჯებდა ზღურბლს, ვითომ, კორექტურისთვის უკან გამობრუნებულმა წამოიმძღვანა ეს ყველაფერი.... ხშირად, მისი ასეთი ყურადღებით გულწრფელად გაოგნებულთ, თვითონვე ჩვეული იუმორით გვამხნევებდა და ეს ყველაფერი ბუნებრივი ჩანდა ამ დიდი კაცის ბავშვური გულწრფელობიდან გამომდინარე....

ლელა ხოჭოლავა,
უახლოესი მეგობარი და კოლეგა

ნარკობარიგების შავი დღე

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ბოლო ერთი კვირის განმავლობაში 5 ნარკორეალიზატორი დააკავა და განსაკუთრებით დიდი ოდენობით სხვადასხვა სახის ნარკოტიკული საშუალებები ამოიღო.

ამის შესახებ გუშინ შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს უფროსმა მამუკა ჭელიძემ ისაუბრა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის და გავრცელების წინააღმდეგ აქტიური, უკომპრომისო ბრძოლა.

ქვემო ქართლის პოლიციის, განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის და ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა-გასაღების ბრალდებით, მარნეულში 4 ნარკორეალიზატორი დააკავეს.

მოსამართლის განჩინების საფუძველზე დაკავებული 4 პირიდან სამი წარსულში ნარკოდანაშაულისთვისაა ნასამართლევი. მათ მიერ ჩადენილი დანაშაული 7-დან 14 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულები ნარკოტიკულ საშუალებას სისტემატურად ყიდდნენ.

კიდევ ერთი ფაქტია გამოვლენილი ნარ-

კოტიკული საშუალებების ინტერნეტით რეალიზაციასთან დაკავშირებით.

ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, პოლიტკოვსკაიას ქუჩაზე მდებარე სასაფლაოს ტერიტორიაზე, ნარკოტიკების გასაღების ბრალდებით დაკავებულია უკრაინის რესპუბლიკის მოქალაქე, დროებით თბილისში მცხოვრები პირი. მის მიერ ჩადენილი დანაშაული 6-დან 12 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

დაკავებულის პირადი ჩხრეკისას ამოღებულ იქნა 8 შეკვრად დაფასოებული, სარეალიზაციოდ გამზადებული სხვადასხვა დასახელების სინთეტიკური ნარკოტიკული საშუალება.

ნარკოდანაშაულისთვის კიდევ ერთი პირი ქუთაისის აეროპორტში დააკავეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის თანამშრომლებმა, 1980 წელს დაბადებული პირი განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ბრალდებით დააკავეს. მის მიერ ჩადენილი დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა, დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, 8 შეკვრად დაფასოებული 122,2 გრამი ნარკოტიკული საშუალება „კოკაინი“, ბუპრენორფინის შემცველი 51 აბი „სუბოტექსი“, ასევე, ნარკოტიკული საშუალება „ტეტრაჰიდროკანაბინოლი“ ნივთმტკიცებად ამოიღეს.

კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა კი ლაგოდეხის რაიონის სოფელ კაბალში 1998 წელს დაბადებული პირი განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს.

სამართალდამცველებმა, ბრალდებულის პირადი ჩხრეკისას, განსაკუთრებით დიდი ოდენობით — 275,77 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ტეტრაჰიდროკანაბინოლი“ ამოიღეს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს.

რუსეთს სირიიდან სამხედროები გამოიყვანს

„ბოლო რამდენიმე დღეში სირიიდან 13 თვითმფრინავი, 14 ვერტმფრენი და 1140 სამხედრო გამოვიყვანეთ.“ ამის შესახებ რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა კრემლში სამხედრო სასწავლებლების კურსდამთავრებულებთან საზეიმო შეხვედრისას განაცხადა. მან დაამატა, რომ ჯარების გაყვანის პროცესი გრძელდება. ამასთან სირიაში ფუნქციონირებას აგრძელებს რუსული 2 სამხედრო ბაზა – ჰმეიმიმი და ტარტუსი, ასევე დაპირისპირებული მხარეების მოსარიგებელი ცენტრი.

პუტინი და ტრამპი ჰელსინკში შეხვდებიან

ტელეკომპანია FoxNews-ის ცნობით, რუსეთისა და აშშ-ის პრეზიდენტები ერთმანეთს ფინეთში, ჰელსინკში შეხვდებიან. აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ოფიციალურად სამიტის ადგილი და დრო არ დაასახელა, თუმცა მიკრობლოგში დაწერა, რომ შეხვედრა მალე მოხდება.

ნატოს რუსეთთან დიალოგი სურს

გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა სიტყვით მიმართა ბუნდესტაგს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მომავალი სამიტის შესახებ, რომელიც 11-12 ივლისს გაიმართება. მისი თქმით, ნატო რუსეთთან დიალოგის გამართვას მოითხოვს.

„ჩვენ გვინდა, ვიყოთ მზად რუსეთთან დიალოგისთვის“ - განაცხადა მერკელმა.

ცნობილია, რომ აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი და თურქეთის პრეზიდენტი რეჯეფ ტაიპ ერდოღანი შეხვდებიან ნატოს სამიტის მოედანზე. ის ჩატარდება ბრიუსელში მიმდინარე წლის ივლისის თვეში. მასზე განიხილავენ აღმოსავლეთ ევროპასა და ავღანეთში სამხედროების ყოფნის საკითხებს.

2030 წლისთვის მსოფლიოს აეროპორტებს მთლიანად რობოტები „დაიპყრობენ“

2030 წლისთვის მსოფლიოს აეროპორტებს მთლიანად რობოტები „დაიპყრობენ“, მიიჩნევენ Aira-სა და Vero Solutions-ის ანალიტიკოსები.

ჭკვიანი მოწყობილობები მთლიანად თავის თავზე აიღებენ მგზავრთა რეგისტრაციის პროცესს და ასევე შეძლებენ, მგზავრთა ემოციის საშუალებით მიიღონ მათი ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაცია.

ცალკეული ავიაკომპანიები რობოტექნიკას უკვე იყენებენ. რობოტები დასაქმებულნი არიან ასევე ზოგიერთ აეროპორტშიც, თუმცა მათი მოვალეობა ამ დროისათვის მგზავრის კითხვებზე პასუხის გაცემა და მათი დაკვალიანებაა.

კანადელი მრავალცოლიანობისთვის დასაჯეს

კანადის ერთ-ერთი პროვინციის სასამართლომ 61 წლის უინსტონ ბლეკმორს განაჩენი გამოუტანა. მამაკაცი 2017 წელს 24 ცოლის ყოლაში დაადანაშაულეს. მას 149 შვილი ჰყავს. ის ციხეში არ ჩასვეს და 6 თვით შინაპატიმრობა მიუსაჯეს, რომლის ფარგლებშიც ის სამსახურში სიარულს შეძლებს. მას 150 საათი საზოგადოებრივი სამუშაოების შესრულება მოუწევს. სასამართლომ დამნაშავედ სცნო ბრეკმორის სიძეც, რომელსაც 5 ცოლი ჰყავს. წარსულში ისინი გარიყული ფუნდამენტალისტური ქრისტიანული ეკლესიის (მორმონები) ეპისკოპოსები იყვნენ, ცხოვრობენ ბაუნთიფულის დასახლებაში, სადაც პოლიგამიის 1500 მომხრე ცხოვრობს.

ინტელექტის ნიშანი



განგაშის გრძნობა მაღალი ინტელექტის ნიშანი ყოფილა – ეს დასკვნა ამერიკელმა ევოლუციურმა ნეირობიოლოგებმა გამოიტანეს.

მეცნიერთა აზრით, ევოლუციის პროცესში განგაშის გრძნობა და ინტელექტი ერთმანეთის პარალელურად ყალიბდებოდნენ, ვინაიდან გამუდმებით ფხიზლად ყოფნა ადამიანისა და მისი ოჯახის გადარჩენას უწყობდა ხელს. მოგვიანებით კი ეს არასაჭირო თვისება დამკვიდრდა.

გაიღიმე, გენაცვალე!

ის, თუ როგორ ვიღიმებით, იმაზე ყოფილა დამოკიდებული, თუ რა მიზანს ვისახავთ ამ დროს: დაჯილდოებას, წახალისებას, კავშირის დამყარებას თუ იმის სადემონსტრაციოდ, თუ „ვინაა ჩვენს შორის მთავარი“, – აცხადებენ ამერიკელი მეცნიერები.

ეს მიმიკური გამოხატულებები ევოლუციის მსვლელობისას წარმოიშვა და მათი მიზანი სოციალურ ჯგუფებში ძირითადი პრობლემების გადაჭრაა. ისინი, არსებითად, თანამოსაუბრისთვის სამი ნიშნის გადაცემას ემსახურება: **„მადლობა, მე ეს მომწონს“ (წამახალისებელი ღიმილი), „ნუ გეშინია, შენთვის ტკივილის მოყენებას არ ვაპირებ“ (თბილი, სანდო დამოკიდებულების შემქმნელი ღიმილი), „ეი, აქ მე ვარ მთავარი!“ (დომინანტური ღიმილი).**

მეცნიერები მიიჩნევენ, რომ თუკი ჩვენ გვესმის ღიმილის არსი, პარტნიორებთან საქმის წაძღოლა გაგვიადვილდება, ამას კი მნიშვნელობა განსაკუთრებით იმ შემთხვევაში ექნება, თუკი ისინი სხვა სოციოკულტურული ჯგუფებიდან არიან.

ენა და სმენა

ჩინური ენის სწავლა მუსიკალურ სმენას ავითარებს, ასეთია კალიფორნიის უნივერსიტეტის მეცნიერთა მიერ ჩატარებული კვლევის შედეგი.

დადგინდა, რომ ის ბავშვები, რომელთა მშობლიური ენა ჩრდილოჩინურია, თავიანთ ინგლისურენოვან თანატოლებზე უკეთ არჩევენ მუსიკალური ბგერების სიმაღლეს.

მკვლევარები აცხადებენ, რომ ჩრდილოჩინური – ესაა ტონალური ენა, რომლის შემსწავლელი ბავშვები ხმის ტონის შეცვლას ძალიან სწრაფად სწავლობენ.

სტრესისგან დამცველი თევზები

პლიმუტისა და ექსეტერის უნივერსიტეტების მეცნიერებმა გამოკვლევა ჩაატარეს, რომლის მიზანი ადამიანის მდგომარეობაზე აკვარიუმის თევზების ზეგავლენის შესწავლა იყო.

აღმოჩნდა, რომ მათ, ვინც აკვარიუმის თევზებს დღეში თუნდაც 15 წუთის განმავლობაში ათვალიერებენ, არტერიული წნევა და პულსი უმცირდებათ, ადამიანი დუნდება და მშვიდდება. მნიშვნელობა არა აქვს, რომ აკვარიუმის თევზს, ვთქვათ, ძაღლივით ან კატასავით ვერ მოეფერები, სამაგიეროდ საწვალებელიც ნაკლებია. გარდა ამისა, აკვარიუმი ბინაში ჰაერსაც ნამავს, რაც აქტუალურია როგორც ზამთარში გათბობის სეზონის დროს, ასევე პაპანაქება ზაფხულში.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4553; ევრო - 2.8575;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2442;
100 რუბლი - 3.8797; თურქული ლირა - 0.5301;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4486;
1000 სომხური დრამი - 5.1014.

ამინდი 29 ივნისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+18,	დღე	+39
მთიანი რაიონები -	ღამე	+12,	დღე	+35
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+22,	დღე	+36
მთიანი რაიონები -	ღამე	+17,	დღე	+36
თბილისი:	ღამე	+23,	დღე	+38

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 299-02-10,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge